ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

F B Y I F B Y B

* კფჰზ

@*ვფჰნზლფყ




js[if,fsb7 $ fghbkb7 @)!@ 180 (5770) afcb5 #) stshb

# ვინ აპირებს ბიძინა ივანიშვილის მოკვლას?!

გვ.2

„ქართული ოცნება“ ვახტანგ კომახიძისაგან დამატებით ინფორმაციას შვეიცარიაში მოისმენს



## ნაციონალები რუსეთთან ახალ ომზე ალაპარაკდნენ

გვ.3

რის ეშინიათ წიკლაურსა და ბოკერიას



## ცოლ-ქმრის მკვლელობის ერთ-ერთ მიზეზად ეჭვიანობა განიხილება

გვ.2



გვ.5

მიხეილ სააკაშვილი: არჩევნებზე დამკვირვებლები გამოაგზავნეთ!“



გვ.4

რატომ ცვლის ხელისუფლება კანონებს ასე პანტა-პუნტით?



გვ.3

ალეკო შალამბერიძე: უფასო სასადილოების სალაფავი სააკაშვილს ვაჭამოთ!“

ბექუაშვილის ჯგუფელ ელიზარიანის მედიაბიზნესი საქართველოში

ვინ ნერგავს პოლიტიკურად მოტივირებულ თვითცენზურას

გვ.6



როგორ აქცევს ხელისუფლება მეგობარ ქვეყნებს

გვ.6



ISSN 1987-9385

3 აფხაზებმა პარლამენტის თავმჯდომარედ ბღანბა აირჩიეს

2 ჯონ ბასი: მხარს დავუჭერთ, რომ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები

2 112-ის გადასახადის გამო შსს-ს სასამართლოში უჩივლეს

5 აღდგომის დღესასწაულზე პატიმრებს გაათავისუფლებენ

კევ]ბ ოზსტკბ .ღზსტკბ იფღზ

# ვინ აპირებს ბიძინა ივანიშვილის მოკვლას?!

## „ქართული ოცნება“ ვახტანგ კომახიძისაგან დამატებით ინფორმაციას შვეიცარიაში მოისმენს

შალვა ჯოხაძე

„ამ კაცს არ ეშინია? რამე არ დაუშავონ“, – ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ დაახლოებით ასეთი შინაარსის რეპლიკა ალბათ ხშირად გსმენიათ, ან მსგავსი აზრი თავადაც გაგჩენიათ. რას ვიზამთ, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, გამოუძიებელი პოლიტიკური მკვლელობის რამდენიმე მძიმე მაგალითი გვაქვს! რეპლიკები და მოსაზრებები იქით იყოს და, შვეიცარიაში გადახვეწილმა ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ „ფეისბუქში“ საკუთარ გვერდზე საკმაოდ სკანდალური განცხადება გააკეთა. კომახიძე სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია იგეგმება.

შვეიცარიაში პოლიტიკური დევნილის სტატუსით მცხოვრები ვახტანგ კომახიძის განცხადებას „ქართულ ოცნებაში“ უკვე გამოეხმაურნენ. ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერი მაია ფანჯიკიძე იმედოვნებს, რომ ვახტანგ კომახიძის ინფორმაციას სერიოზული საფუძველი არ აქვს. ფანჯიკიძის მოსაზრებით, თუკი ვახტანგ კომახიძეს სერიოზული მასალა აქვს, ის გამოსაძიებლად შესაბამის ორგანოებს უნდა მიაწოდოს.

– როდესაც ადამიანი ასეთ ინფორმაციას ავრცელებს, ვინმეს მაინც უნდა უთხრას, საიდან იცის. ხოლო, თუ რამე სერიოზული მასალა აქვს, უნდა მიაწოდოს მას, ვისაც ამაზე რეაგირება შეუძლია და არ უნდა გამოაქვეყნოს „ფეისბუქზე“. ვიმედოვნებ, ამის უკან სერიოზული არაფერი დგას, – აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

თუმცა, კომახიძემ მის ხელთ არსებული მასალები ვის უნდა მიაწოდოს, იმ სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც ხელისუფლების ერთ-ერთი რგოლია და მსგავსი საკითხების გამოძიების ნაცვლად, კვალის არევითა და აბნევით არის დაკავებული?!

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური კოალიციის წარმომადგენელმა, რესპუბლიკელმა პაატა ზაქარეიშვილმა კი, ჟვანიასა და პატარკაციშვილის სიკვდილის შემთხვევების გათვალისწინებით, ასეთი გეგმის არსებობა დასაშვებად მიიჩნია. ამის მიუხედავად, ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი ვერსიის განსახილველად მათ მეტი მტკიცებულება სჭირდებათ.



– სააკაშვილს ივანიშვილი რომ არ უყვარს, ფაქტია. მას პოლიტიკიდან წასულს დიდი სიხარულით ნახავდა, რა ფორმით, მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა სააკაშვილს ყველაზე საშინელ სიზმარშიც არ აძლევს ხელს ივანიშვილის სიკვდილი. რა თქმა უნდა, როგორც პატარკაციშვილისა და ჟვანიას შემთხვევაში მოხდა, ისე აწყობს, მაგრამ თავისი ხელების სისხლში გასვრა – არა. ივანიშვილს მაღალი დონის დაცვა ჰყავს და საზოგადოებაში დიდი სიყვარული და პატივისცემა აქვს, ამიტომ ეჭვი მეპარება, მათ ეს განახორციელონ. სააკაშვილის გონიერებაზე დიდი ხანია აღარ ვსაუბრობ, მაგრამ მის გარემოცვას მაინც უნდა ესმოდეს, რომ ეს მათთვის კრახი იქნება, – აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

ამის მიუხედავად, ირკვევა, რომ „ქართული ოცნება“ ვახტანგ კომახიძესთან საკუთარ წარმომადგენელს გაგზავნის. როგორც მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, კომახიძის მიერ გავრცელებული განცხადება სერიოზულ სიგნალებს შეიცავს, რასაც მეტი ჩაღრმავება სჭირდება.

– ამ მიზნით, „ქართული ოცნება“ ვახტანგ კომახიძესთან თავის წარმომადგენელს გაგზავნის, რათა უფრო დეტალურად გავიგოთ, რაზეა საუბარი. ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და ვეცდებით, ჩვენი წარმომადგენლის საშუალებით მივიღოთ სხვა ცნობებიც, რომლის გაცხადებაც მას არ შეეძლო, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

აღსანიშნავია, რომ გუშინ კომახიძის განცხადებას თავად ივანიშვილიც გამოეხმაურა.

– ჩვენი ხელისუფლება ყველაფერზე ხელს მოაწერს. რამდენად რეალურია საფრთხე დღეს და როგორი იქნება ხვალ, ამ საკითხის ანალიზს ყოველდღიურად ვაკეთებ. მგონია, რომ დღეს ასეთი რეალობა არაა, მაგრამ მომავლისთვის მათ აუცილებლად ექნებათ ამის მზაობა.

ხელისუფლება დღეს ეიფორიაშია და ფიქრობს, რომ ძალადობისა და დაშინების გზით არჩევნების მოგებას მოახერხებს, თუმცა, მოგვიანებით, როცა ის გააცნობიერებს, რომ ეს არ გამოუვა, ასეთი საშიშროება გაიზრდება. მე ამას კარგად ვაცნობიერებ და ვაცნობიერებდი მაშინაც, როცა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გადაწყვეტილება მივიღე. მაგრამ ეს არ შეცვლის და არ შეაფერხებს ჩემს ქმედებებს და გავაგრძელებ ისეთივე აქტიურობას, როგორიც ვარ დღეს.

მე უკვე გადაწყვეტილი მაქვს, თუ ვინ გაემგზავრება კომახიძესთან, – აღნიშნა ივანიშვილმა.

ვახტანგ კომახიძე „ფეისბუქში“ ძალიან თავდაჯერებული ტონით წერს, რომ საქართველოს ხელისუფლება ივანიშვილის მოკვლას აპირებს.

**ვახტანგ კომახიძე:**

– მაქვს ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილის სიცოცხლეს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საფრთხე ემუქრება და შეიძლება მაშინ განხორციელდეს, როცა იგი რეგიონებს ესტუმრება. რა თქმა უნდა, სრულად ვაცნობიერებ იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც ასეთი განცხადება წარმოშობს, მაგრამ ვალდებული ვარ, ამ ინფორმაციაზე ვილაპარაკო ყოველგვარი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე, რადგან მისი არც გადამოწმების შესაძლებლობა არსებობს და არც იმის გარანტი, რომ წყაროს იდენტიფიცირების შემთხვევაში დანაშაულებრივი განზრახვის ავტორები შეიზღუდებიან და არ შეილახება წყაროს უფლებები და უსაფრთხოება.

ცხადია, არსებობს იმის ალბათობა, რომ წყაროს მიერ ინფორმაციის გავრცელება ირიბ მიზნებს ემსახურებოდეს, ამისთვის აუცილებელია ინფორმაციის სანდოობის დადგენა, თუმცა, სანდოობის ხარისხის დადგენის შეუძლებლობამ არ უნდა შეიწიროს სავარაუდო საფრთხის მნიშვნელობა.

რადგან ქართულ რეალობაში არსებობს ზურაბ ჟვანიას და რაულ იუსუფოვის დაღუპვის გამოუძიებელი საქმე, რადგან გამოუძიებელია „მასტერას“ და უვაის ახმადოვის ფარული ჩანაწერები ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის დაკვეთაზე, ასევე, საქართველოს პარლამენტის წევრის ფარული ჩანაწერი ბელორუსიაში პოლიტიკური მკვლელობის განზრახვის შესახებ, ვფიქრობ, არაა გადაჭარბებული ვარაუდი, რომ ჩემი წყაროსგან მიღებული ინფორმაცია კეთილსინდისიერი სიგნალი შეიძლება იყოს.

ცხადია, სრულად ვერ გამოვრიცხავ, რომ წყაროს ჩემთან დაკავშირება რაიმე სახის ინსინუირების მოტივით იყო განპირობებული, მაგრამ თუ ეს განზრახვა რეალურად არსებობს, ამ ინფორმაციის გავრცელებას შეუძლია პრევენციული როლი შეასრულოს, რამაც გადამაწყვეტინა ამ განცხადების გაკეთება.

# 112-ის გადასახადის გამო შსს-ს სასამართლოში უჩივლეს

## რამდენი მილიონი შესძის ჩვენთვის ჩამოჭრილი 20–50 თეთრიდან ვანო მერაბიშვილს

შალვა ჯოხაძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოს მთავრობისა და შსს-ს წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სარჩელი იმ გადასახადს ეხება, რომელიც 112-ის მომსახურებისათვის ჩვენი მობილური ტელეფონების ანგარიშიდან თუ ქალაქის ნომრების სააბონენტოდან ყოველთვიურად იჭრება. თუმცა, საქმე ისაა, რომ 112 ჯერ არ ფუნქციონირებს და ფულსაც ასე უაზროდ გვძალავენ. სად მიდის ეს ფული, თავად განსაჯეთ! ცხადია, წინასაარჩევნო პერიოდში 20-50 თეთრობით ყულაბის შევსება ხელისუფლებას ხელს ნამდვილად აძლევს.

– 2011 წლის 27 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ №489 დადგენილება მიიღო, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს შსს-ს საჯარო სამართლის იურიდიული პირის 112-ის მომსახურების საფასური, მისი ოდენობა და გადახდის წესი. ამავე დადგენილებით განისაზღვრა, რომ საფასურის გადამხდელები არიან სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტები. 112-ის მომსახურების საფასური ფიზიკურ პირებს ყოველთვიურად 20 თეთრის, ხოლო იურიდიული პირების 50 თეთრის ოდენობით დაექვითებათ. დადგენილება 2012 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.




აღსანიშნავია, რომ 112-ს ფუნქციონირება ჯერ არ დაუწყია, შესაბამისად, მისი მომსახურება მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. მიუხედავად ამისა, 2012 წლის 1 იანვრიდან 112-ის საფასური აბონენტებს მაინც ერიცხებათ და ანგარიშიდან შესაბამისი ოდენობის თანხა ეჭრებათ, – აცხადებენ საიაში.

საიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით მიმართა და 112-ის მომსახურებისთვის ჩამოჭრილი თანხების ოდენობაზე ინფორმაცია მოითხოვა. ოფიციალურ პასუხში აღნიშნულია, რომ 112-ის მომსახურების საფასურის სახით 2012 წლის იანვარ-თებერვლის თვის დარიცხულმა შემოსავალმა 1 408 868 ლარი შეადგინა.

– მომსახურების საფასურის გადახდისა და ამოღების წესის ამოქმედება იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული მომსახურება არ ხორციელდება და მისი მიღება შეუძლებელია, ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და უხეშად ლახავს მოქალაქეთა და სხვა პირთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, – განმარტავენ საიაში.

საიამ სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა, რომლითაც მთავრობის №489 დადგენილების ბათილად ცნობას ითხოვს იმ ნაწილში, რომლითაც დადგენილების ამოქმედების თარიღად 2012 წლის 1 იანვარი განისაზღვრა. საია ასევე ითხოვს აბონენტებისთვის სსიპ 112-ის მიერ ფუნქციონირების დაწყებამდე ჩამოჭრილი თანხების უკან დაბრუნებას.

# ჯონ ბასი: მხარს დაგიჭერთ, რომ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები

„ჩვენი ყურადღება მიმართული იქნება, რომ მხარი დაგიჭიროთ თქვენ, ქართველ ხალხს, რომ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები და ჩამოყალიბდეს მრავალფეროვანი პარლამენტი, რომელიც გამოხატავს საქართველოში არსებულ რეალობას“, – თშპრესს.გე-ს ინფორმაციით, ეს განცხადება აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა ბათუმში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გააკეთა. ელჩის განცხადებით, საქართველოში დემოკრატია ჯერ კიდევ „სამუშაო პროცესშია“. მისი თქმით, ალიანსი და მისი მოკავშირეები დააკვირდებიან არჩევნების წინა და არჩევნების პერიოდს საქართველოში და ამის მიხედვით გააკეთებენ დასკვნას, რამდენად შეესაბამებოდა პროცესები დემოკრატიის პრინციპებს.



„არის სფეროები, სადაც საჭიროა მეტი მუშაობა, სადაც ვისურვებდით, რომ მეტი მიღწევები ყოფილიყოს. კიდევ ერთი სფერო, სადაც მეტი სამუშაოა გასაწევი, არის საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა“, – აღნიშნა ბასმა.

მედიანიუსი

# ცაგარეიშვილი კანონპროექტის განხილვას აპროტესტებს

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრის, დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილის შეფასებით, პარლამენტი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის განხილვას მხოლოდ იმიტომ აჭიანურებს, რომ მონოპოლიებთან არსებული რეალობა კანონთან მოიყვანონ შესაბამისობაში.

ამის შესახებ გიორგი ცაგარეიშვილმა გუშინ ექსპერტებთან და ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომლის განხილვის თემაც აღნიშნული კანონპროექტი და ქვეყანაში მონოპოლიებთან დაკავშირებული პრობლემებია.

დეპუტატის თქმით, აღნიშნული კანონპროექტი პირველი მოსმენით ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე იყო განხილული, შემდეგ მიმდინარე წლის თებერვალში და მას შემდეგ მისი განხილვა შეჩერდა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მას იშვიათად ახსოვს, რომ კანონპროექტის განხილვა 7-8 თვის მანძილზე ჭიანურდებოდეს.



გიორგი ცაგარეიშვილმა ყურადღება გაამახვილა კანონპროექტის მე-8 მუხლზე, რომლის მიხედვითაც, აკრძალვები არ ეხება ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს, თუ ჰორიზონტალური ხელშეკრულების მხარეების ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 25%-ს, ვერტიკალური ხელშეკრულების თითოეული მხარის საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 40%-ს და ა.შ.

დეპუტატის თქმით, ექმნება შთაბეჭდილება, რომ დროში იწელება კანონპროექტის განხილვა იმიტომ, რომ ამ კანონპროექტით დაწესებულ ე.წ. შეზღუდვებთან შესაბამისობაში მოვიდეს ის მონოპოლიები, რაც დღეს ქვეყანაში არსებობს. მანვე აღნიშნა, რომ ყველასთვის თვალშისაცემია, რომ რეალურად მონოპოლიები არსებობს, მათ შორის ფარმაცევტულ ბაზარზე თუ ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებით.

ინტერპრესნიუსი

# ცოლ-ქმრის მკვლელობის ერთ-ერთ მიზეზად ეჭვიანობა განიხილება

თბილისში, ვაკეში მომხდარი მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად გამოძიება ცოლ-ქმარს შორის ეჭვიანობას განიხილავს.

წინასწარი ინფორმაციით, მიხეილ მახაშვილმა მეუღლე მანანა ზუბაშვილს „მაკაროვის“ ცეცხლსასროლი იარაღიდან გულში ესროლა, ხოლო შემდეგ, თავი მოკლა. მას ცეცხლნასროლი ჭრილობა თავის არეში აღენიშნება.

53 წლის მიხეილ მახაშვილის და 39 წლის მანანა ზუბაშვილის ცხედრები ზუბაშვილის მეგობრებმა მახაშვილების სახლში, რადიანის 7 ნომერში აღმოაჩინეს.

მანანა ზუბაშვილი რადიო „ფორტუნაში“ მარკეტინგის მენეჯერად მუშაობდა. დღეს სამსახურში არ გამოცხადების შემდეგ მას მეგობრებმა შინ მიაკითხეს და კარი სამაშველო და საპატრულო სამსახურის დახმარებით გააღეს. ბინაში შესულებს ცოლ-ქმარი გარდაცვლილები დახვდათ.

გამოძიების ვერსიით მკვლელობა გვიან ღამით მოხდა. ადგილზე შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები მუშაობენ.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ნაციონალები რუსეთთან ახალ ომზე ალაპარაკდნენ

თეა მარხვაიძე

## რის ეშინიათ წიკლაურსა და ბოკერიას

**ყოველი არჩევნების წინ ხელისუფლებას ერთი ზორბა ბუა ესაჭიროება. სასურველია, ეს ბუა ქვეყნის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდეს. სხვა ქვეყნიდან მომავალ საფრთხეს მაინც სულ სხვა ეშხი აქვს. აქამდე ამ ბუას ფუნქციას პატიოსნად ასრულებდა იგორ გიორგაძე. მის გარეშე საქართველოში არჩევნები არ ტარდებოდა. არჩევნების წინ საქართველოში თეთრ ტანკზე ამხედრებული იგორ გიორგაძის აჩრდილი დახრიგინებდა.**



მოგეხსენებათ, რომ ყველაფერს აქვს დასასრული და იგორით ხალხის დაშინებაც აღარ გამოდის. ამიტომ ახალი საშიშროებაა მოსაძებნი. ამ მხრივ მეზობლებში ნამდვილად გაგვიმართლა. როცა რუსეთი შენი მეზობელია, ჩათვალე, რომ საფრთხე სადღაც აქვეა.

რუსეთი ჩვენს ნაციონალებს ყოველთვის ახსოვდათ, ხან იქიდან მზეც კი ამოსდიოდათ. ახლა იქიდან ქარს დენთის სუნი მოაქვს. ხელისუფლების წარმომადგენლები არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე რუსეთთან ახალი ომის საფრთხეებზე ალაპარაკდნენ. მოსალოდნელ დაპირისპირებაზე განცხადება გიგა ბოკერიამ გააკეთა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას განცხადებით, თბილისში რუსეთთან ახალი ომის საფრთხეს არ გამორიცხავენ. ამ თემაზე ბოკერიამ რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

ბოკერია მიიჩნევს, რომ მოსკოვს არ მოსწონს ის, რომ საქართველო სუვერენული არსებობისა და ევროატლანტიკურ საზოგადოებაში ინტეგრაციის კურსს აგრძელებს.

— მე ამ ეტაპზე ვერ ვხედავ რუსეთის მხრიდან ამ მიმართულებით სრულმასშტაბიან ნაბიჯებს, თუმცა, რუსეთში არსებობს საქმის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ეს საქმე 2008 წელს ბოლომდე ვერ მიიყვანეს. საქართველო აგრძელებს იმ კურსს, რომელიც რუსეთის მხრიდან აგრესიის მიზეზი იყო. ეს არის სუვერენული, დამოუკიდებელი არსებობის, ევროატლანტიკურ საზოგადოებაში, მათ შორის ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის კურსი. სანამ არსებობს ხალხის ნების ასეთი გამოხატვა და ამ ნების შემსრულებელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რუსეთის ხელისუფლებასთან პრობლემა იქნება. ასე რომ, ასეთი საფრთხის საერთოდ გამორიცხვა არ შეიძლება. საქართველოს პერსპექტივებისთვის მთავარ საფრთხედ რჩება რუსეთის სამხედრო საფრთხე იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდება მილიტარიზაცია და სამხედრო ინფრასტრუქტურის გაღრმავება, იმის გამო, რომ შემოდგომაზე გაიმართება სამხედრო სწავლება. რუსული სამხედრო სწავლება „კავკასია 2012“ შეშფოთების საფუძველი იქნება დროის, მასშტაბის, მიზნების, მათ შორის ირანის პრობლემაზე რეაგირების დამუშავებისა და იმის გათვალისწინებით, რომ წვრთნები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ რუსულ სამხედრო ბაზებზეც გაიმართება, — აღნიშნა ბოკერიამ.

გიგა ბოკერია მიიჩნევს, რომ საქართველოსა და აშშ-ის სამხედრო თანამშრომლობა რუსეთის საქმე არ არის. მას იმედი აქვს, რომ საერთაშორისო სიტუაცია და სხვა ფაქტორები ამ პოტენციური გადაწყვეტილების განხორციელებას არ დაუშვებს.

— მაგრამ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ასეთი საფრთხის გამორიცხვა არ შეგვიძლია არა მხოლოდ ჩვენ, არამედ სხვებსაც. არის კიდევ ერთი ფაქტორი. ეს ტერორიზმია. გასულ წელს გვქონდა ტერაქტის მცდელობის 10 შემთხვევა, მათ შორის რამდენიმე წარმატებული მცდელობა იყო. ჩვენ წარმოვადგინეთ მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ ამ ქმედებების კოორდინირებას ახდენდნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული სპეცსამსახურები. დავასახელეთ კონკრეტული სახელებიც. საბედნიეროდ, უკვე რაღაც დროის განმავლობაში ჩვენთან არანაირი მცდელობა აღარ ყოფილა და იმედი მაქვს, ასევე გაგრძელდება, მაგრამ საფრთხე არსებობს, — აღნიშნა ბოკერიამ.

რუსეთიდან მომავალ საფრთხეებზე და იმ ავადასახსენებელ წვრთნებზე კომენტარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემაც გააკეთა.

— შემთხვევითი არ არის, როცა სტრატეგიული სამხედრო სწავლება „კავკასია 2012“ ისეა დაგეგმილი, რომ მისი პიკი საქართველოში საპარლამენტო არჩევნების პერიოდს ემთხვევა, — აღნიშმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მისივე განმარტებით, რუსეთის მიერ დაგეგმილი აღნიშნული წვრთნები გაცილებით მასშტაბური ანალოგია იმ სწავლებისა, რომელიც 2008 წელს მან სამხედრო აგრესიის წინ მოაწყო.

— ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ მოსკოვს ღია მოწოდებით, რომ განგვიმარტონ, რა მიზანს ემსახურება აღნიშნული სწავლება. მასში კავკასიაში ყველა ის შეიარაღებული ძალებია ჩართული, რომელთაც ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხელი მიუწვდება, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური მოსკოვისგან საქართველოს ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია.

— ამ საკითხით შეშფოთებულია არა მარტო საქართველო, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობა. ბევრმა ქვეყანამ მოსკოვში უკვე დააფიქსირა დემარში, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მოსკოვს საშემოდგომო წვრთნები და ავი ზრახვები დეპუტატმა ნუგზარ წიკლაურმაც დაუგმო. მისი მტკიცებით, საკმაოდ მაღალია შანსი იმისა, რომ რუსეთი თავს დაგვესხას.

ნაციონალების ერთ-ერთმა ლიდერმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სექტემბრისთვის დაგეგმილი ფართომასშტაბიანი წვრთნები დამშვიდების საშუალებას არ იძლევა.

— საქართველოს ისეთივე საგარეო პრიორიტეტები აქვს, როგორიც ჰქონდა, რაც რუსეთის მხრიდან საშიშროებას არასოდეს გამორიცხავს. რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზებს ავითარებს, მიმდინარეობს გამალებული შეიარაღება, მილიტარიზაცია, იყო ტერორისტული აქტების მცდელობა, რაც არ შეწყდა, ვიდრე საქართველომ აშშ საქმის კურსში არ ჩააყენა. სექტემბერში ფართომასშტაბიანი წვრთნები იმართება. ომის საფრთხე ძალიან მაღალია, — ამბობს წიკლაური.

შექმნილ ვითარებას წიკლაური, ბუნებრივია, ივანიშვილის გადასახედიდან ხედავს. ის რუსულ წვრთნებზე სახიფათოდ მიიჩნევს ირაკლი ალასანიას მიერ გაკეთებულ განცხადებას. საუბარია სამეგრელოში უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნაზე. ამ განცხადებას ჩვენში დიდი შფოთი მოჰყვა. მას, ბუნებრივია, რუსული მხარეც გამოეხმაურა. სწორედ ეს გამოხმაურებაა, წიკლაურს გულს რომ უხეთქავს.

— ასეთ დროს „ქართული ოცნების“ განცხადებები აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ბანდფორმირებების გადაადგილების შესახებ რუსეთისთვის დამატებითი კოზირია, რათა საკუთარი პროვოკაციული ქმედება განახორციელოს, — ამბობს წიკლაური.

რუსეთისგან ყველაფერი რომ მოსალოდნელია, ეს ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ, ისიც ვიცით, რომ რალაცების გაბუქება ჩვენს ხელისუფლებასაც ძალიან უყვარს, განსაკუთრებით კი — არჩევნების წინ.

რამდენიმე ნაცმოძელი იმასაც ამტკიცებდა, პუტინი რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებამდე დაგვარტყამსო. ის არჩევნები უკვე ჩატარდა. ახლა კი ამბობენ, რომ ჩვენი საპარლამენტო არჩევნებისთვის შეიძლება დაგვიწყონ ომი.

რუსეთი კი, თავის მხრივ, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მასშტაბურ სამხედრო სწავლებას „კავკაზ 2012“ ამზადებს. როგორც „ნეზავისიმაია გაზეტა“ იუწყება, გასულ წელთან შედარებით, წლევანდელი წვრთნები „გაცილებით სტრატეგიული და არსებულ პოლიტიკურ რეალიებთან დაახლოებული იქნება“.

მანევრები შემოდგომაზეა დაგეგმილი და გაიმართება არა მხოლოდ რუსეთის სამხრეთ რეგიონებში, არამედ აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონსა და სომხეთში. მუშავდება სწავლების სცენარი, რომელიც ირან-აშშ-ისა და სხვა რიგი ქვეყნების შესაძლო ომს, ასევე კასპიის რაიონსა და სამხრეთ კავკასიაში სხვა შესაძლო კონფლიქტებსაც ითვალისწინებს.

— სწავლება ასეთი სახელით 2008 წლის 16 ივლისიდან 2 აგვისტომდე გაიმართა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებთან. დიდწილად „კავკაზ 2008“-ის წყალობით მოხერხდა საქართველოს მოკლე დროში დამარცხება, — წერს „ნეზავისიმაია გაზეტა“.

გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ წლევანდელი სწავლება არა ოპერატიულ-ტაქტიკური, არამედ სტრატეგიული იქნება და ჩართული იქნება არა მხოლოდ შეიარაღებული ძალები, არამედ სასაზღვრო, საჰაერო, სამხედრო-კოსმოსური თავდაცვის, საჰაერო-სადესანტო ძალები, ასევე შსს, უშიშროების, დაცვის ფედერალური და საგანგებო სიტუაციების სამსახურები.

სწავლებაში გამოყენებული იქნება ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების მართვის სისტემა „ბარ-ნაულ-ტ“.

— ეს სისტემა უკვე აკონტროლებს არა მხოლოდ რუსეთის, არამედ სამხრეთ კავკასიის საჰაერო სივრცეს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან სომხეთში დისლოცირებული 102-ე ბაზა სამხრეთის სამხედრო ოლქის დანარჩენი დაჯგუფებისგან მოწყვეტილია, — წერს „ნეზავისიმაია გაზეტა“.

სამხედრო სწავლება „კავკაზ 2012“-ში მონაწილეობას როგორც ქვეყნის ყველა სამხედრო ორგანიზაცია, ასევე სხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მიიღებენ.

პოლკოვნიკ ანატოლი ციგანკოვის აზრით, სწავლებისთვის მზადება სპარსეთის ყურეში სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით დროზე ადრე დაიწყო და სამხედროებს მოუწევთ შესაძლო მოქმედებების შემუშავება იმ შემთხვევაში, თუ ირანთან ომში სამხრეთ კავკასიის ქვეყნები იქნებიან ჩათრეული.

გენერალ-პოლკოვნიკი ლეონიდ ივაშოვი დარწმუნებულია, რომ, სწავლების გეგმიური ხასიათის მიუხედავად, იგი კავკასიის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით იქნება კორექტირებული.

# აფხაზებმა პარლამენტის თავმჯდომარედ ბღანბა აირჩიეს

თეა მარხვაიძე

გუშინ აფხაზი საზოგადოების ყურადღება მათი პარლამენტისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ახალი სპიკერი უნდა აერჩიათ. მთელი ამ დღეების განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სპიკერობის ყველაზე დიდი შანსი რაულ ხაჯიმბას ჰქონდა.

ექსპერტთა ნაწილი გამარჯვებას სწორედ მას უწინასწარმეტყველებდა. გამარჯვების შანსები თითქოს არ ჰქონდა ვალერი ბღანბას. კენჭისყრის შედეგებმა კი სულ სხვა სურათი აჩვენა.

აფხაზური პარლამენტი 35 სკამს ითვლის. 35 დეპუტატის ასარჩევად აფხაზებს 2 ტურის ჩატარება დასჭირდათ. პირველ ტურში მხოლოდ 13 დეპუტატის არჩევა მოხერხდა. პარლამენტში პირველივე ტურში მოხვდა რაულ ხაჯიმბა. სხვა ცნობილი ლიდერები, მათ შორის, ანრი ჯერგენია, ალმასბეი ქჩაჩი და ნუგზარ აშუბა პარლამენტში ვერ მოხვდნენ.

სრული შემადგენლობა აფხაზებმა ვერც მეორე ტურში აირჩიეს. ცარიელი კიდევ 2 სკამი დარჩა. ამჯერად აფხაზებს 33 დეპუტატი ჰყავთ. ეს შემადგენლობა სრულიად საკმარისი იყო სპიკერისა და 4 ვიცე-სპიკერის ასარჩევად.

როგორც უკვე ვთქვით, ხაჯიმბას გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. საპრეზიდენტო არჩევნებში სამგზის დამარცხებული ხაჯიმბა თავადაც გამარჯვების იმედით იყო აღვსილი. ეს კაცი, მოგეხსენებათ, კრემლის ფავორიტია. კრემლი კი მისთვის ბევრ რამეს აკეთებს.

კრემლის ფავორიტს აფხაზებმა ამჯერადაც ზურგი შეაქციეს. მის გასპიკერებას მხარი მხოლოდ 11-მა კაცმა დაუჭირა. სამაგიეროდ მისმა კონკურენტმა ბღანბამ დააგროვა 21 ხმა და სპიკერის სავარძელიც მას დარჩა. ბღანბა წინა მოწვევის პარლამენტის წევრიც იყო. 2009 წელს საპრეზიდენტო არჩევნებშიც გამოთქვა კენჭისყრის სურვილი, უფრო ადრე კი გაგრის ადმინისტრაციას ედგა სათავეში.

სპიკერთან ერთად დეპუტატებმა 4 ვიცე-სპიკერიც აირჩიეს. ესენი არიან: ადგურ ხარაზია, ოთარ ცვიჟბა, ემა გამისონია და ვაგარშაკ კოსიანი.

პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევის შემთხვევაში ხაჯიმბას ალექსანდრე ანქვაბისთვის სერიოზული პრობლემების შექმნა შეეძლო. ისინი ერთმანეთს უკვე დიდი ხანია მტრობენ. ამ მტრობაში ფორტუნა ყოველთვის ანქვაბის მხარეს იყო. ფორტუნამ ამჯერადაც მას გაუღიმა.

— მარიონეტული რეჟიმის ლიდერის წინაშე იდგა რთული ამოცანა — კანონშემოქმედებითი საქმიანობის გასატარებლად, რომელიც ანქვაბს დასჭირდება თავისი გეგმების განსახორციელებლად, სპიკერად გაეყვანა თავისი კაცი. ამავდროულად, მას შეეძლო პარლამენტის წაგებაც, მაგრამ ამით შეეძლო მიეღწია გარკვეული ბალანსისთვის მასსა და ოპოზიციას შორის. როგორც ეტყობა, ანქვაბმა უარი თქვა ამ ნაბიჯზე და ამიერიდან ცხოვრება ოკუპირებულ აფხაზეთში ანქვაბის გეგმის მიხედვით გაგრძელდება ზუსტად ისე, რასაც დაუშვებს მოსკოვი, — მიაჩნიათ „ექსპერტთა კლუბში“.

მართალია, სპიკერობას ვერ ეწია, მაგრამ ხაჯიმბა არ გაჩერდება, ინტრიგების დახლართვასაც არ მოერიდება. სხვა თუ არაფერი, ფეესბეს გენერალია. ამ უწყებაში გამოზრდილებს კი ასეთი რამეები მარტივად გამოსდით.

ინტრიგების დასახლართად ეს პარლამენტი საკმაოდ კარგი ადგილია. ბევრ მათგანს პოლიტიკურ მაიმუნობებში გამოცდილება არა აქვს. ასეთ ხალხთან ერთად კი ინტრიგის დახლართვა ძალიან მარტივია.

ვაი-ვაგლახით არჩეული პარლამენტის წევრები კი შემდეგი პიროვნებები არიან: ასლან კობახია; ბესლან ცვინარია; ვალერი აგრბა; ახრა ბჟანია; არტურ მიქვაბია; ზაურ იაზიჩბა; ბესლან გუბაზი; ანზორ კოკოსკერია; ბესლან ბარციცი; გიორგი აგრბა; მიხეილ სანგულია; ლეონიდე ჭამაღუა; დიმიტრი გუნბა; ლევონ გალუსტიანი; ადგურ ხარაზია; იური ზუხბა; თემურ ლოგუა; აპოლონ გურგულია; კან კვარჩია; ახრა კვეკესკირი; ვალერი ბღანბა; ვაგარშაკ კოსიანი; გურამ ბარლანჯია; ახრა პაჩულია; ფაზლიბეი ავიძბა; რობერტ იალიანი; საიდ ხარაზია; თემურ კვიცინია; ოთარ ცვიჟბა; რაულ ხაჯიმბა; ემა გამისონია; ნოდიკ კვიცინია; ბეჟან უბირია.

# ალეკო შალამბერიძე: „უფასო სასადილოების სალაფავი სააკაშვილს ვაჭამოთ!“

თეა მარხვაიძე



ალბათ, გახსოვთ, რა დიდი ზარზეიმით იხსნებოდა ჩვენში უფასო სასადილოები, სადაც საჭმელს დროდადრო ხელისუფლების წარმომადგენლებიც მიირთმევდნენ, ოღონდ მხოლოდ ტელეკამერების წინ. გვიმტკიცებდნენ, აქ ყველაფერი გემრიელიაო, სინამდვილეში კი ძალიან მძიმედ არის საქმე.

უფასო სასადილოებში არსებული ვითარების შესწავლა უმუშევართა კავშირმა და პარტია „თავისუფალმა საქართველომ“ სცადეს. კვლევის შედეგები აღმოჩნდა კატასტროფული. ამ შედეგით ყოფილი დეპუტატი ალეკო შალამბერიძე აღშფოთებულია.

შალამბერიძის თქმით, ჩატარებულ იქნა ლაბორატორიული კვლევები და აღმოჩნდა, რომ კვების რაციონი, რომელიც უფასო სასადილოებში არსებობს, არ აკმაყოფილებს ადამიანისათვის საჭირო კვების რაციონის დადგენილ სტანდარტებს.

— შედეგები აღმოჩნდა კატასტროფული. უფასო სასადილოებში დაწესებული ნორმა — 900 კალორია საკვები რაციონით, რომელიც თავად წარმოადგენს საკმაოდ მკაცრ დიეტას, 3 თვეზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს, არ სრულდება და იგი 720-დან 825 კალორიამდე მერყეობს, — განაცხადა შალამბერიძემ.

ის პურის ყოველდღიურ გრამულ რაციონზეც საუბრობს, რომელიც 215 გრამს შეადგენს.

— ხელისუფლება ამას გამიზნულად აკეთებს. მას სურს შექმნას სოციალურად დაუცველთა დიდი საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც ადამიანი ნორმალურად ცხოვრებას და გამოკვებას ვერ მოახერხებს, რაც ბევრად არ ჩამოუვარდება მეორე მსოფლიო ომის ბლოკადის დროინდელი ლენინგრადის ნორმებს. აი, სინამდვილეში რას მიირთმევენ უმწეო საქართველოს მოქალაქეები! აი, როგორია უფასო სასადილოები, რომლითაც ტრაბახობს ჩვენი პრეზიდენტი. უფასო სასადილოების სალაფავი ვაჭამოთ მიხეილ სააკაშვილს, — ამბობს შალამბერიძე.

იმავე პოზიციას იზიარებს უმუშევართა კავშირის თავმჯდომარე თამარ იოვაშვილი. მისი თქმით, დაუშვებელია, ამ ანტისანიტარიაში ადამიანები საჭმელს ჭამდნენ.

# რატომ ცვლის ხელისუფლება კანონებს ასე პანტაპუნტით?

გულიკო ბალაძე

ბოლო დროს ხელისუფლება ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ქვეყნის დამანგრეველი კანონი მიიღოს.

ძირითადად ისეთ კანონებს ცვლიან, რომლებიც შეეხება გარემოს დაცვას, ბირთვულ უსაფრთხოებასა და შენობების სეისმომედეგობას.

რა შედეგის მომტანია ამ სფეროში კანონების გაუარესება და რა დანაშაულებრივი გადაწყვეტილებები მიიღო ხელისუფლებამ ცოტა ხნის წინ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბოლო სიახლეა საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებრივი საფრთხის შემცველი გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება მშენებლობის დროს ტერიტორიის რეალური სეისმურობის (მიწისძვრების) სიდიდის კორექტირებას, რომელიც განიზრახა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ.

როგორც ჩანს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი იაფი მშენებლობით დაინტერესდა და გადაწყვიტა, ეს გააკეთოს სეისმურობის კორექტირების ხარჯზე.

თუმცა, არა გვგონია, რომ ქალბატონი მინისტრი ამ საქმეში მარტო იყოს, თორემ მას ამის საშუალებას არავინ მისცემდა.

ეს ხდება იმ დროს, როცა სააკაშვილი მთელ მსოფლიოში დადის და აცხადებს, რომ საქართველო არის უსაფრთხო ქვეყანა, ანუ მთელ მსოფლიოს ატყუებს, თითქოს აქ ყველაფერი წესრიგშია.

სინამდვილეში ყოველდღიურად აუარესებს კანონმდებლობას და ქვეყნისთვის საფრთხის შემცველ გადაწყვეტილებებს იღებს, რაზეც არაერთი პროტესტი გამოითქვა ჩვენი საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ რიგი პარტიების მიერ.

მშენებლობის დროს სეისმურობის სიდიდის კორექტირებას საფრთხის მომცველად მიიჩნევს მწვანეთა პარტია და ამასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებასაც აკეთებს, რადგან ვერა ქობალიას ბრძანებით მშენებლობის დროს ტერიტორიის რეალური სეისმურობის (მიწისძვრების) გათვალისწინება სავალდებულო აღარ იქნება.

– მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო სრულიად არანორმალური კანონები, რითაც კომპანიებს მიეცათ საშუალება, დაუსჯელად გაანადგურონ საქართველოს ბუნება, შხამებით დააბინძურონ სასმელი წყალი და ჰაერი, გადაწვან ტყეები და ა.შ. და შეუქმნან გენოციდის საფრთხე მოსახლეობას, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს მშენებლობისთვის დადგენილი სეისმურობის (მოსალოდნელი მიწისძვრების) სიდიდის კორექტირების შესაძლებლობა მიეცა, – აცხადებს მწვანეთა პარტია.

ცვლილება „სამშენებლო ნორმებისა და წესების – სეისმომედეგი მშენებლობა" დამტკიცების შესახებ ბრძანებაში შევიდა.

„სამშენებლო ნორმებისა და წესების – სეისმომედეგი მშენებლობის" შესახებ მინისტრის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელი გახდა, კონკრეტული მშენებლობისთვის (სახლი, კაშხალი) განხორციელდეს უკვე დადგენილი სეისმურობის სიდიდის კორექტირება, ანუ შემცირება.

– საყოველთაოდ ცნობილია, რომ სეისმურობის (მიწისძვრების) ბალიანობის შემცირება მნიშვნელოვნად აიაფებს მშენებლობას. სეისმურობის რეალური მნიშვნელობის გათვალისწინება აუცილებელია მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის, რათა მიწისძვრის დროს ნაგებობამ ნაკლები ზიანი მიიღოს და მოსახლეობის სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქროს, – ნათქვამია მწვანეთა პარტიის განცხადებაში.

მწვანეთა პარტია აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დიდი კონსტრუქციების, მაგალითად, წყალსაცავების, კაშხლების მშენებლობისას, რომელმაც ასეულობით მილიონი ტონა წყალი უნდა შეაკავოს.

თუ კაშხალი აშენებული იქნება სეისმური ნორმების იგნორირებით, მაშინ მიწისძვრის დროს კაშხლის გარღვევა და კატასტროფა – წყალსაცავის ქვემოთ მცხოვრები ათასობით ადამიანის ფიზიკური განადგურება გარდაუვალი იქნება.

– როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერზე მიდის თავისი ავანტიურისტული გეგმების განხორციელებისთვის, მოსახლეობის გენოციდის რისკის ფასადაც კი, – აღნიშნულია მწვანეთა პარტიის განცხადებაში.

მწვანეთა პარტია გმობს ადამიანისა და ბუნების წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მათი განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების ქმედებები უკვე აშკარა ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულის ხასიათს ატარებს.

მწვანეთა პარტია თხოვნით მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს, დაეხმარონ საქართველოს და არ დაუშვან ქვეყნის ბუნების ეკოციდი და მოსახლეობის გენოციდი.

საქართველო რომ სეისმურად აქტიურ ზონაშია, ამას 1991 წლის რაჭის მიწისძვრაც ადასტურებს, რომელმაც არა მარტო რაჭაში, არამედ მიმდებარე რაიონებშიც გაანადგურა შენობები (მაგალითად, საჩხერეში). რომლის შედეგები დღესაც არ არის აღმოფხვრილი.

„სეისმური მონიტორინგის ცენტრი" განმარტავს, რომ საქართველო სეისმურად აქტიურ რეგიონში მდებარეობს. აქ შესაძლებელია მოხდეს მიწისძვრები, რომელთა მაგნიტუდა 7-ის ტოლია, ხოლო მაკროსეისმური ეფექტი 9 ბალია.

საქართველო რომ სეისმურად აქტიურ რეგიონში მდებარეობს, ამას ადასტურებს როგორც ისტორიული, ისე ე.წ. ინსტრუმენტული მონაცემები (1963 წელს ჩხალთის, 1991 წელს რაჭის მიწისძვრები) სეისმური საფრთხე განსაკუთრებით დიდია ურბანიზებული ტერიტორიებისთვის, სადაც მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვეა, მრავალსართულიანი შენობების, საქალაქო ინფრასტრუქტურის არსებობა მნიშვნელოვნად ზრდის მსხვერპლისა და ზარალის რისკს.

იაპონიის მიწისძვრის, იმ დროს წარმოშობილი მრავალსართულიანი ცუნამის, ფუკუშიმას დაზიანების, სხვა ქვეყნებისა და ჩვენი ქვეყნის გამოცდილების შემდეგ ხელისუფლების ასეთი გადაწყვეტილებები გაკვირვებას იწვევს, რადგან ამას მტერი თუ გააკეთებს.

როგორც ზემოთ ვთქვით, ცვლილება შეეხო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობას.

თუ დაინტერესებულ პირსა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის დაიდება შეთანხმება, გათვალისწინებულ პერიოდში ამ პირის მიერ ჩადენილი ყველა ქმედება ითვლება კანონიერად. ამ პირს განხორციელებულ ქმედებებზე არ დაეკისრება სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ანუ პირს შეუძლია, სრულიად გაანადგუროს ტყე და გარემო და პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

ბოლო პერიოდში ხელისუფლებამ ასევე შეცვალა თავის დროზე მწვანეთა პარტიის მიერ შემუშავებული და პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „ბირთვული უსაფრთხოების თაობაზე".

1998 წელს მიღებული კანონით, საქართველო ბირთვული ობიექტების, ტექნოლოგიებისა და რადიოაქტიური ნარჩენებისაგან თავისუფალ სახელმწიფოდ იყო გამოცხადებული. მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე აღნიშნავს, რომ ახალი კანონით ხელისუფლება ცდილობს, საქართველო გადააქციოს ბირთვული ობიექტების მშენებლობის პოლიგონად – ბირთვული ტექნოლოგიების სატრანზიტო დერეფნად.

2012 წლის მთავრობის მიერ ინიცირებული კანონით დაშვებულია ბირთვული ობიექტების, მათ შორის ატომური სადგურების მშენებლობა, რადიოაქტიური ნარჩენების რეექსპორტი, ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვულ ასაფეთქებელ მოწყობილობათა ექსპორტი, იმპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი.

ამ ვითარებაში სამხრეთ კორეის ქალაქ სეულში ბირთვული უსაფრთხოების თაობაზე გამართულ სამიტზე მიხეილ სააკაშვილმა მსოფლიოს გასაგონად იცრუა, რომ საქართველოში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში დიდი პროგრესი იქნა მიღწეული.



სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით მწვანეთა პარტიამ მიმართა ბირთვული უსაფრთხოების სამიტს, გაეროს, აშშ-ს, ევროკომისიას შეკითხვით, როგორ ეთანხმება კანონპროექტის სულისკვეთება საერთაშორისო მოთხოვნებს ბირთვული უსაფრთხოების სფეროში და თქვენ მიერ რეგიონის ზოგიერთი ქვეყნისთვის ბირთვული ტექნოლოგიების მიწოდების აკრძალვას.

საინტერესოა, რისთვის ემზადება ხელისუფლება? რატომ ცვლის კანონებს ასე პანტაპუნტით? რაში სჭირდებათ ნაციონალებს ეს გაუარესებული კანონები, თვითონ ხომ არ არიან გარკვეული ტიპის საქმიანობაში ჩართული და, მომავალში თუ ხელისუფლებაში ველარ დარჩებიან (რის დიდი შანსიც გაჩნდა ნოემბრის შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, კანონების მასობრივად ცვლილებაც მას შემდეგ დაიწყო ხელისუფლებამ) და თავს იზღვევენ ან ამ სფეროებში დადებული შეთანხმებებით სურთ მოასწრონ დიდი შემოსავლების (შავი თუ თეთრი) მიღება. სხვა შემთხვევაში ნაციონალების მოქმედება აუხსნელია.

# თემურ ნანეიშვილი: ოპოზიციამ ივანიშვილის მიმართ დამოკიდებულება უნდა შეცვალოს!

შორენა კოწოწაშვილი

### ინტერვიუ „ქართული აკადემიის" წევრ თემურ ნანეიშვილთან

***– ბატონო თემურ, თქვენი აზრით, არის თუ არა რეპრესიების ის ფორმები, რომელსაც დღეს მმართველი პარტია ოპონენტებისა და მოქალაქეების მიმართ ახორციელებს, ხელისუფლებისთვის ძალაუფლების გადამრჩენი?***

– ხელისუფლების მთელი პოლიტიკა მიმართულია ისევ იმ გამოცდილი და აპრობირებული მეთოდების აქტიურად გამოყენებისკენ. ერთია – ხალხის დაშინება, ამ შიშის სინდრომის გაღრმავება. ძალიან კარგად ფლობენ ამ მეთოდებს. ვისაც იბარებენ და აშინებენ, ეს მხოლოდ მასზე რომ არ არის გათვლილი, კარგად ესმით. თუმცა, უკვე ხვდება, რომ შიში დაძლევადია. ასეთი მხდალი თუ იყო ქართველობა, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა. არ მეგონა, ასეთ უსუსურ ხელისუფლებას ქართველობა ასე თუ შეუშინდებოდა. ეს მათი ძალიან აპრობირებული მეთოდია და ამას ნამდვილად წარმატებით იყენებენ. აი, ეს არის ხელისუფლების ძირითადი პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია იმ აგრესიულ ტელევიზიებზე, რომელიც სახელისუფლებო პროპაგანდის მანქანის სახელით არის ცნობილი. ეს არის პოლიცია და გარკვეული ნაწილი პოლიციის, 80-90% ექვემდებარება ამას და მათი ხელით აკეთებენ ამას ძალოვანი სტრუქტურები. სხვათა შორის, არც ერთი მათგანი არ ასრულებს თავის კონსტიტუციურ მოვალეობას.

***– თქვენი აზრით, სწორი გადაწყვეტილება მიიღო ბიძინა ივანიშვილმა, როცა პარტიების ნაწილს გაემიჯნა? „სახალხო კრება" ფიქრობს, რომ რეჟიმის დამარცხება დღეს მხოლოდ ერთიანი ოპოზიციური ფრონტით არის შესაძლებელი.***

– რა არის, იცით, საქმე? როცა „ქართული აკადემიის" წევრები „სახალხო კრებას" შევხვდით, სწორედ ამ თემებზე იყო იმ შეხვედრაზე საუბარი. არის პარტიები, რომელთა იდეოლოგიაც ემთხვევა ივანიშვილის იდეოლოგიას. ეს კაცი შლის ამ სუფრას, ასე ვთქვათ და ვინც მოსწონს, იმასთან ერთად უნდა, რომ იბრძოლოს. ივანიშვილი სულ ამტკიცებდა, ზოგიერთმა ლიდერმა საბედისწერო შეცდომები დაუშვა და მათ დღესაც არ შეუცვლიათ ის კურსი, ამიტომ მე არ შემიძლია მათთან ერთად მოქმედებაო. დღეს რომ შეცვლილი ჰქონდეთ ეს კურსი, კიდევ შესაძლებელია, რაღაც გზები მოინახოს. როგორ უნდა გააკეთონ ერთად საქმე, როდესაც ერთი ამბობს, რომ მშვიდობიანი გზით უნდა ხელისუფლების შეცვლა და პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა, ხოლო მეორე ამბობს, რომ ქუჩის აქციებით უნდა ვაიძულოთ ეს ხელისუფლება, წავიდეს. დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებებია, ხომ? ამიტომ მათი შეთანხმება, ალბათ, ვერ მოხდება, თუმცა, მე მაინც ვიმედოვნებ, რომ პირველ რიგში ეს საქმე უნდა მოგვარდეს ასე. ეს ჩემი სუბიექტური აზრია: ერთმანეთზე აუგის თქმა უნდა შეწყვიტონ. აუგს არ უნდა წერდნენ პრესაში და არ უნდა განსჯიდნენ ერთმანეთის საქციელს. შემდეგ ყველაფერი აუცილებლად მოგვარდება. როდესაც სიტუაცია გამწვავდება, საპარლამენტო არჩევნებს მივუახლოვდებით, ურთიერთობის რაღაც ფორმა გამოინახება. სამიზნე უნდა ჰქონდეთ ერთი. ეს სამიზნე არის ეს ჯალათი ხელისუფლება. ფიქრობ, იმ განცხადებებით, რომლებიც პოლიტიკოსების მხრიდან კეთდება, დაახლოების პროცესი უფრო შორდება. ამიტომ ეს პოლიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ და უნდა ეძებონ ერთმანეთთან დაახლოების გზები და არა ის, რომ პირველივე უარის შემთხვევაში ერთმანეთს ცილი დასწამონ და ა.შ. მაგალითად, მე, პირადად, მახსოვს, პარტიებს ახლა ვერ დავასახელებ, პირველ დღესვე რომ ივანიშვილმა არ დაუძახა, მეორე დღესვე გაივსო ფეისბუქი და საინფორმაციო საშუალებები ივანიშვილის გინებით. დაუძახა მერე იმათაც. ძირითადად, რაც კრიტერიუმად ივანიშვილმა აიღო, ეს არის საგარეო ორიენტაცია. ივანიშვილს ძალიან კარგად ესმოდა, რომ ერთადერთი იარაღი, მე ვიტყოდი, ავანტიურისტული იარაღი, რაც ამ ხელისუფლებას აქვს, ეს არის ის, რომ აი, რუსეთის ნაშოვნი ფულია, რუსეთის აგენტი და ა. შ. ზოგიერთი ვითომ ოპოზიციონერი დღესაც ეძახის ივანიშვილს, რუსეთის პროექტიაო. ეს ივანიშვილმა ძალიან კარგად იცოდა ამიტომ ადგა და უპირატესობა მკვეთრად გამოხატულ დასავლური ორიენტაციის ძალებს მისცა. აწონ-დაწონა, რომელია უფრო რეიტინგული, რა პლუსმინუსები აქვთ და ვინ გამოდგება ამ შემთხვევაში მის პარტნიორად. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება დღესაც ამბობს, რომ ივანიშვილი რუსეთუმეა. ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, ივანიშვილს თავად რომ აეღო ორიენტაცია ისეთ პოლიტიკურ ძალებზე, რომლებიც უფრო პრორუსულებად აღიქმებიან, მაშინ რა მოხდებოდა? ივანიშვილის მხრიდან პარტნიორების შერჩევა სწორი გათვლა იყო. ახლა ოპოზიციური ძალები უნდა დაწყნარდნენ, მგონია და ყველაფერი შეიძლება მივიდეს იქამდე, რომ თუ ერთ სამიზნეს აირჩევენ – ეს არის ხელისუფლება და მისი სატელიტი პარტიები, მაშინ, ალბათ, მოიძებნება რაღაც გზები იმავე ამ ოპოზიციურ ძალებთან თანამშრომლობისა.

***– გარკვეულ ოპოზიციურ პარტიებთან გამიჯვნა ივანიშვილს, ფაქტია, ხმების ნაწილს დააკარგვინებს, რაც არჩევნების საერთო შედეგებზე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.***

– იმათ თუ ივანიშვილსაც წაართვეს ხმები და წაართვეს ხელისუფლებას ხმები, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, იმიტომ რომ, თუ ოპოზიციურად არიან განწყობილი, რა თქმა უნდა, ისინი პარლამენტში ერთმანეთს გაუგებენ. მთავარია, უმრავლესობა პარლამენტში ოპოზიციამ მოიპოვოს და არა ის, რომ, დავუშვათ, მხოლოდ „ქართული ოცნება" იყოს პარლამენტში. თქვენ როგორ გგონიათ, რომელიმე პარტია ბიძინა ივანიშვილზე საყვედურებს თუ იტყვის, ამით ივანიშვილი პოზიციას შეცვლის და იმ პარტიებს გვერდით დაიყენებს? ივანიშვილს აქვს პრინციპები. მაგალითისთვის ავიღოთ, კოალიციაში არის რესპუბლიკური პარტია, რომლის გავლენის ქვეშაც ვითომ მოქცეულია ივანიშვილი. თქვენ იცით, რესპუბლიკურ პარტიას როგორი ურთიერთობა ჰქონდა მურმან დუმბაძესთან – მკვეთრად უარყოფითი. მიუხედავად ამისა, ივანიშვილმა იმ შეხვედრის დროსაც თქვა, მურმან დუმბაძეს ნამდვილად აქვს მაღალი ავტორიტეტი აჭარაში და მე მას დაველაპარაკებიო. ეს ივანიშვილმა იმის მიუხედავად გააკეთა, რომ ეს ჟესტი რესპუბლიკელებს არ მოეწონებოდათ. ივანიშვილმა თავისი პრინციპი გაატარა. ასე რომ, ივანიშვილი არავის გავლენის ქვეშაც არ არის მოქცეული. მაგრამ, როცა კაცი გაგინებს და, ფაქტობრივად, მიგანიშნებს, ძალით შემიამხანაგეო, ასე არ გამოვა.

***– ანუ კოალიციის გარეთ მყოფმა პარტიებმა ივანიშვილისადმი დამოკიდებულება უნდა შეიცვალონ?***

– რა თქმა უნდა. იმათ თავი უნდა დაანებონ „ქართულ ოცნებაში" შემავალი ცალკეული პარტიების გინებას. ისე გამოდის, თითქოს ივანიშვილს არ ეხებიან და ამბობენ: შენ კი ხარ კარგი, მაგრამ შენი თანაგუნდელები, მაგალითად, რესპუბლიკელები და ალასანია არ ვარგანანო. მე რომ მითხრა, კარგი კაცი ხარ, მაგრამ ოჯახის წევრები და მეგობრები არ გივარგაო, ე.ი. არც მე ვყოფილვარ კარგი კაცი.

***– თქვენი პოზიცია გასაგებია, თუმცა, ბევრს აფიქრებს რესპუბლიკელების პოზიცია აფხაზეთთან მიმართებით.***

– რესპუბლიკელების ლიდერმა დავით უსუფაშვილმა გარკვევით თქვა: როდესაც მოედანზე შემოდის მესი, ფეხბურთელ მესის შესახებ, ალბათ, გაგიგიათ, ფეხბურთელები მოედანზე სხვაგვარად ლაგდებიანო. ამით უსუფაშვილმა თქვა, რომ ივანიშვილი არის უპირობო ლიდერი და ის არის ავტორიტეტი, რომელსაც ექვემდებარებიან. იყო ადრე გაერთიანებები, მაგრამ ფორმალურად ჰყავდათ ლიდერი. გახსოვთ, ამბობდნენ, ლიდერი ის არის, მაგრამ, თუ ის ლიდერი ისე არ გააკეთებდა, როგორც სხვებს სურდათ, მაშინ იწყებოდა მისი კრიტიკა. ახლა, პირიქით, ასეთი სიტუაციაა: რასაც ივანიშვილი იტყვის, ის კეთდება და ეს სწორია. ასეთ პირობებში ასეთი ლიდერია საჭირო – მტკიცე, ძლიერი, მაგარი და მოაზროვნე კაცი. ისე, აზროვნება არც სხვას აკლდა, მაგრამ არ ჰქონდა ისეთი ავტორიტეტი, რომ დაექვემდებარებინა ეს პარტიები. ივანიშვილს ეს ძალა და გავლენა აქვს. მე თუ მკითხავთ, დამსახურებულადაც აქვს.

***– რას იტყვით ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე, რომელსაც სურს, დეპუტატის ასაკის 21 წლამდე დაწევა და შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებებიც მომზადებულია?***

– ეს ხელისუფლების მორიგი პიარსვლაა. 21-22 წლის სტუდენტს რა უნდა პარლამენტში? იმან ჯერ უნდა ისწავლოს. დავით დარჩიაშვილმა გერმანიის მაგალითი მოიყვანა და თქვა, გერმანიაში ასეაო. რომ დადიხართ და ეძებთ, ერთი ნაკლი რომ აქვს ქვეყანას, მაინცდამაინც ის უნდა აიღოთ და გადმოიღოთ? ერთ რაღაცას მოძებნიან კონტექსტიდან ამოგლეჯილს და იმას აპიარებენ: აი, გერმანიაში ასეაო. მთლიანად კანონის სულისკვეთება ნახეთ, როგორია. ეს ცვლილება იმისთვის სჭირდება ხელისუფლებას, რომ ახალგაზრდები თავისკენ განაწყოს, თორემ რა უნდა 21 წლის ახალგაზრდას პარლამენტში?



# მიხეილ სააკაშვილი: არჩევნებზე დამკვირვებლები გამოაგზავნეთ!“

ნათია ხურცილავა

– საპარლამენტო არჩევნები საქართველოს დემოკრატიის ტესტი იქნება, – ეს განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა გააკეთა.

ქართველ საზოგადოებას და დღევანდელ ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტ სააკაშვილს დასავლელი პარტნიორებისთვის მოუწევს მტკიცება, რომ ის რეალურად, საქმით არის დასავლელი ტიპის ლიდერი და არავითარი საერთო და მსგავსება არ აქვს მეზობელ ლიდერთან.

– საქართველომ საერთაშორისო ორგანიზაციებს და პარტნიორ ქვეყნებს სთხოვა, საპარლამენტო არჩევნებზე გრძელვადიანი დამკვირვებლები გამოგზავნონ, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ნატო-ს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან ერთად, ნატო-ს შტაბბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ გენერალურმა მდივანმა, ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მასთან შეხვედრაზე საქართველო მოდელ ქვეყნად დაასახელეს. სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის ხაზგასმა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

– როგორც იცით, წინ არჩევნები გველოდება და მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას – ევროკავშირს, ევროპარლამენტს, ეუთო-ს, ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს – მათ შორის ალიანსის წევრებს მოვუწოდეთ, გამოგზავნონ არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ გრძელვადიანი დამკვირვებლები. მათ უნდა გამოიკვლიონ მთელ ამ პერიოდში ხალხის აზრი, დააკვირდნენ ქართულ მედიაგაშუქებას, პარტიების დაფინანსების მექანიზმს საქართველოში, რათა დავრწმუნდეთ, რომ არა მხოლოდ არჩევნების დღე, არამედ მთელი პროცესი გამჭვირვალე, გათვლადი, ასევე გარე ძალებისგან თუ ნებისმიერი მხრიდან ზეწოლისგან თავისუფალია. ამ თვალსაზრისით წელს თქვენი დახმარება მართლაც გვჭირდება. – განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

სააკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან დაგეგმილ შეხვედრაზე საბჭოს წევრებს მიაწვდის ინფორმაციას პროგრესის შესახებ, რომელსაც საქართველომ საბჭოსთან ბოლო შეხვედრის შემდეგ მიაღწია. პრეზიდენტის თქმით, იგი მზადაა, ნებისმიერი საკითხი განიხილოს. ჩიკაგოს სამიტის წინ პრეზიდენტმა იმედიანი განწყობა დაუფიქსირა ნატოს, თუმცა, ჩიკაგოს სამიტი გაფართოების სამიტი არ არის და მოსაწვევს არავინ უნდა ელოდოს.

– ჩვენ მოველით ჩიკაგოს სამიტს და უფრო და უფრო იმედიანად ვართ განწყობილნი თანამშრომლობის იმ ჩარჩოს მიმართ, რომელიც შეიძლება, რომ ჩიკაგოში მივიღოთ, რადგან ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს წინსვლის ხაზგასმა, – განაცხადა პრეზიდენტმა. სააკაშვილმა ნატო-ში საქართველოს მისწრაფებისა და რეფორმების ძლიერი მხარდაჭერისთვის გენერალურ მდივანს მადლობა გადაუხადა და გაიხსენა, რომ რასმუსენმა დანიის პრემიერის რანგში საქართველოს ძლიერი მხარდაჭერა გამოუცხადა 2008 წელს და ცნობილი მოვლენების შემდეგ თბილისში მალევე ჩამოვიდა. პრეზიდენტმა ავღანეთის მისიაში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობაზეც ისაუბრა. – ეს მართლაც რთული მისიაა, მაგრამ ვიცით, რომ ეს მისია ალიანსს გვაახლოებს და საქართველოს ისტორიასაც ეხმიანება – ვიყოთ დასავლური ცივილიზაციის ნაწილი. ჩვენ და ჩვენმა ხალხმა ვიცით, დანაკარგის მიუხედავად, რას ნიშნავს ეს ჩვენთვის, საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, ჩვენი მომავლისთვის, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

– საქართველოს სურს უფრო ძლიერი თანამშრომლობა ნატო-სთან, ვიდრე ოდესმე ჰქონია, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს მოქალაქეების 70% მომხრეა ნატოში საქართველოს გაწევრიანებისა და მხოლოდ 9% წინააღმდეგი.

– ეს ნათლად აჩვენებს, რომ არის მძლავრი მოტივაცია რეფორმებისა და ცვლილებებისთვის, – ამბობს სააკაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტმა რეგიონულ უსაფრთხოებაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

– ჩვენ არ შეგვიძლია დავრჩეთ ნეიტრალურები, როცა ვსაუბრობთ საკითხებზე, რომლებშიც ნათელი ინტერესები გვაქვს. ჩვენ გვსურს, ავღანეთში ოპერაცია კარგად დასრულდეს, მონაწილეობა მივიღოთ ომის შემდეგ ავღანეთის აშენებაში, დავეხმაროთ რეფორმებსა და ტრენინგებში და ჯარების გამოყვანის პროცესში მონაწილეობა მივიღოთ. ჩვენ გვსურს ბევრად ძლიერი თანამშრომლობა ნატო-სთან, ვიდრე ოდესმე გვქონია. გვქონდა ძალიან კარგი პოლიტიკური ურთიერთობა, მაგრამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ნატო-საქართველოს კომისიის საშუალებით კონკრეტულ საკითხებზე მუშაობის საშუალება მოგვეცა და ჩვენ ამას ვაკეთებთ, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.



– საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება, – ასე მიმართა ნატოს გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა, საქართველოს პრეზიდენტს. გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საქართველო მოკავშირეებთან თანამშრომლობის, ურთიერთკავშირის მოდელი გახდა და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. მისივე თქმით, ნატო და საქართველო შეთანხმდნენ თანამშრომლობის გაძლიერებაზე და ეს ხელს შეუწყობს ერთობლივი მუშაობის, საქართველოს ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერებას ატლანტიკური მიზნების მისაღწევად. ამასთან, გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საქართველომ უკვე დიდ პროგრესს მიაღწია. – მაგრამ, თქვენ უკვე დიდ პროგრესს მიაღწიეთ და მჯერა, რომ გააგრძელებთ ამ პროგრესს და რეფორმებს, საპარლამენტო არჩევნებთან მიახლოვებასთან ერთად. ეს არჩევნები მნიშვნელოვანი ტესტი იქნება საქართველოს დემოკრატიისთვის და იქნება შანსი, აჩვენოთ, რამდენად შორს წახვედით. ვიცი, რომ ალიანსის წევრები ამას მჭიდროდ მიადევნებენ თვალს, – განაცხადა რასმუსენმა. მისივე თქმით, საქართველო პარტნიორობის მოდელია. რასმუსენის განცხადებით, ის ჩიკაგოში, ალიანსის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტის ნახვას ელოდება, სადაც მოკავშირეები და პარტნიორები ნათლად იტყვიან, თუ რამდენად აფასებენ საქართველოს ჩართულობას ნატო-ს მისიაში და მიღწეულ პროგრესს.

რასმუსენმა ხაზი გაუსვა იმას, რომ წელს საქართველო ავღანეთის მისიაში ნატო-ს არაწევრი ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ქვეყანა გახდება. რასმუსენმა აღნიშნა, რომ ამ მისიაში ქართველი ჯარისკაცები სიცოცხლეს სწირავენ. რასმუსენმა კიდევ ერთხელ გამოუცხადა თანაგრძნობა მათ ოჯახებს.

– ჩვენი თანამშრომლობა ავღანეთს სცდება. ალიანსის წევრები აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. მოკავშირეები არ აღიარებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ბოლოს ჩატარებულ არჩევნებს და მიაჩნიათ, რომ ეს ხელს არ შეუწყობს პრობლემის მშვიდობიან და გრძელვადიან მოგვარებას, – განაცხადა რასმუსენმა.

ნატოს გენერალური მდივნის განცხადებით, ალიანსს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება თუ როგორ აისახება საქართველოს პროგრესი ჩიკაგოს სამიტზე. – საქართველო განიხილება პრეტენდენტ ქვეყნად, რომელიც ალიანსში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის. იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი აისახება მყარ განცხადებებში სამიტზე, თუმცა რა სახე ექნება ამას, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია, – განაცხადა რასმუსენმა.

მან ასევე ისაუბრა რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობაში საქართველოს როლზე. – ჩვენ ვაფასებთ პრეზიდენტ სააკაშვილის და საქართველოს მთავრობის ძალიან ნათელ განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველო მომხრეა, რეგიონში უთანხმოებების მშვიდობიანი გადაჭრის გზები გამოინახოს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ ძალისხმევას. ასევე, მძლავრად ვუჭერთ მხარს ჟენევის მოლაპარაკებებს, რომელთა მიზანიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გადაჭრის გზების გამოძებნაა, მაგრამ უფრო ფართოდ თუ ვილაპარაკებთ უსაფრთხოებაზე, პრეზიდენტმა ღიად განაცხადა, რომ საქართველოს ჩართულობა ავღანეთში უნდა დავინახოთ, როგორც ძლიერი კონტრიბუცია რეგიონულ უსაფრთხოებაში, რადგან რაც ხდება ავღანეთში, დაკავშირებულია მთელ რეგიონთან, მათ შორის კავკასიასთან. ამდენად, ვფიქრობ, საქართველო ახდენს დემონსტრირებას, რომ ის არის უსაფრთხოების არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ მწარმოებელი და მიმწოდებელიც. – განაცხადა რასმუსენმა.

## ალდგომის დღესასწაულზე პატიმრებს გაათავისუფლებენ

შალვა ჯოხაძე

რელიგიურ დღესასწაულებზე პატიმრების შეწყალების ტრადიცია არც აღდგომის დღესასწაულზე დაირღვევა. გუშინ კი გაირკვა, რომ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივმა საბჭოებმა ზეპირი მოსმენის დასრულების შემდეგ 39 განცხადება დააკმაყოფილეს.

როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის მუშაობის პრინციპის თანახმად, განცხადებებს საბჭოები ყოველი თვის ბოლოს განიხილავენ, შემდეგ კი იმართება ზეპირი მოსმენა, რომელსაც მსჯავრდებული და ადვოკატი ესწრება.

– 5 წევრიანი საბჭოები დაკომპლექტებულია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, პრობაციის ეროვნული სააგენტოს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლებით.

საბჭოების მიერ წარდგენილ ანგარიშებს სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია, პერიოდულად, არანაკლებ სამ თვეში ერთხელ განიხილავს, – განმარტავენ სამინისტროში.



სააღდგომო შეწყალებას რაც შეეხება, „ინტერპრესნიუსს“ შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ განუცხადა, რომ ელოდება პრეზიდენტის მითითებას, თუ როდის ჩაატარონ შეწყალების კომისიის სხდომა. მისივე თქმით, პრეზიდენტს წერილით უკვე მიმართა სხდომის ჩატარების თარიღის დანიშვნასთან დაკავშირებით.

– ტრადიციულად, აღდგომამდე ერთი კვირით, ან რამდენიმე დღით ადრე ხდება შეწყალების კომისიის სხდომის ჩატარება, – განაცხადა ელენე თევდორაძემ.

თევდორაძე აღნიშნავს, რომ კომისიაში შეწყალების მსურველ მსჯავრდებულთა საკმაოდ ბევრი განაცხადია შესული, თუმცა ზუსტი რიცხვი ჯერ არ იცის. მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ შეწყალებული პატიმრები სასჯელაღსრულების დაწესებულებებს 15 აპრილს დატოვებენ.


ვაკანსიები

კარფური

ველოდებით თქვენს რეზიუმეს:

recruitment-geo@mafcarrefour.com

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.jobs.ge ; www.hr.com.ge

განცხადების მიღების ბოლო ვადაა 10 აპრილი.


## ცხინვალში სამარხი აღმოაჩინეს

ცხინვალში სამარხი აღმოაჩინეს. ამის შესახებ სააგენტო „რესი“ იუწყება. სამარხი, რომელშიც ადამიანის ნეშტი აღმოჩნდა, ცხინვალის ერთ-ერთ სამშენებლო მოედანზე გათხრების დროს იპოვეს. სამარხი სავარაუდოდ, შუა საუკუნეების პერიოდს განეკუთვნება. სამარხის ტერიტორიაზე სამუშაოები რუსული სამხედრო ქალაქის მშენებლობის გამო მიმდინარეობს.

„სრულიად შესაძლებელია, რომ სამარხი შუასაუკუნეებისაა, მაგრამ წინასწარ რაიმეს თქმა არასწორი იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია აღნიშნულ უბანზე არქეოლოგიური გათხრების ჩატარება“, – განაცხადა კულტურის დე-ფაქტო სამინისტროს წარმომადგენელმა ნელი ტაბუევამ.

მისივე თქმით, ძვლების განლაგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სამარხი ქრისტიანული არ არის. სამარხი ორი მეტრის სიღრმეზე მდებარეობს.

ინტერპრესნიუსი

## გიორგი წერეთელმა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიღო

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი წერეთელმა საქართველოში ერთდღიანი ვიზიტით მყოფი ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ერკი ტუომიოია მიიღო.



პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები და თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. საუბარი შეეხო საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობის საკითხებს, მათ შორის, ევროკავშირსა და საქართველოს ურთიერთობებს.

ქართული მხრიდან შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ თოდუა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი.

ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ერკი ტუომიოია ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდება.

ინტერპრესნიუსი

## გიორგი თარგამაძე კანადის ელჩს შეხვდა



საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე გამახვილდა ყურადღება გუშინ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის გიორგი თარგამაძისა და კანადის ელჩის ჯონ ჰოლმსის შეხვედრაზე.

როგორც „ნიუსპრესს“ „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ აცნობეს, გიორგი თარგამაძემ ელჩთან საპარლამენტო არჩევნების სამართლიან და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ქდმ-ს ლიდერი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე, კავკასიაში შექმნილ ვითარებასა და რეგიონში საქართველოს წამყვან როლსაც შეეხო.

ნიუსპრესი

# როგორ ატყუებს ხელისუფლება მეგობარ ქვეყნებს

თამარ ნინიძე

საინფორმაციო პორტალ „პლანეტა გე-ს“ მფლობელი, სოფიო ხორგუანი, „ახალ თაობას“ აწვდის სკანდალურ ინფორმაციას იმაზე, თუ როგორ ატყუებენ ხელისუფლების წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციებს და აწვდიან არასწორ სტატისტიკურ მონაცემებს.



— სხვადასხვა ინფორმაციას ვუყურით თავს. ჩვენი მიზანია, როგორმე გავხდეთ დემოკრატიულები. რაც მეტი ინფორმაცია გვექნება, ეს მით უკეთესია თვითონ ხელისუფლებისთვის, რათა მათ სწორად იმოქმედონ და შეცდომები არ დაუშვან, არ მოგვატყუონ ჩვენ და საერთაშორისო ორგანიზაციები და ზოგადად ჩვენც უნდა გვქონდეს ინფორმაციები, რომ არ მოვტყუვდეთ. „ბიბისის“ საიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, სადაც საუბარია საშუალო ხელფასებზე ქვეყნებში. ეს ინფორმაცია ეყრდნობა საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის მონაცემებს, რომელიც, თავის მხრივ, სარგებლობს საქსტანდარტის სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციით. ამ მონაცემების მიხედვით, საქართველოში თურმე ყოფილა საშუალო ხელფასი 603 დოლარი, მაშინ როცა რუსეთშია 1218 დოლარი, უკრაინაში 686, ვუსწრებთ აზერბაიჯანს, მოლდავეთს, სომხეთს, ყირგიზეთს ამ მონაცემებით. რეალობა რომ იყოს, ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ მტკიცებით ფორმაში იმის თქმა, რომ ჩვენთან საშუალო ხელფასი 603 დოლარია, რთულია. თავად საქსტანდარტი საუბრობდა საშუალო ხელფასებზე. აქ საუბარია დასაქმებულებზე, ცოტა ხნის წინ საქსტანდარტმა გამოაქვეყნა მონაცემები საქართველოში გასავრცელებლად და ამ მაჩვენებლით დაახლოებით 700 ლარამდე იყო საშუალო ხელფასი, ანუ 425 დოლარია. საერთაშორისო ორგანიზაციებში მიდის არასწორი და დამახინჯებული ინფორმაცია. ამის შემდეგ შეიძლება ვიხილოთ ჩვენი სახელმწიფო მოხელეებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების სიუჟეტები და საჯარო გამოსვლები, რომ თურმე ვუსწრებთ მოლდავეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს. აუცილებელი გადასახადების მოცულობა საქართველოში არის 313 ლარი. ამას სტატისტიკის დეპარტამენტი არ მალავს. ჩავთვალოთ, რომ საშუალო ხელფასი 700 ლარია, გადასახადები დაახლოებით 400 ლარამდეა, განსაკუთრებით – ზამთრის პერიოდში. კვებისა და ჰიგიენისთვის 387 ლარი უნდა მოიხმაროს ადამიანმა საქართველოში სტატისტიკის დეპარტამენტის გათვლებით, დანარჩენი მიდის კომუნალურ გადასახადებზე. საშუალო ფენა საქართველოში ძალიან მცირეა და ეს ყველამ ვიცით. ამაზე საუბრობენ ექსპერტები და ეს 700 ლარიც კი ძალიან მცირე ადამიანების ხელფასია.

***— მარტო საჯარო მოხელეები იგულისხმებიან ამ მონაცემებში?***

— არა, ზოგადად დასაქმებული ადამიანები. იმდენი არასამთავრობო ორგანიზაციაც არ არის საქართველოში, რომ ამ მონაცემებში იქ დასაქმებული ადამიანებიც შედიოდნენ. ყველაზე მეტი დასაქმებული ადამიანი გვყავს საჯარო სექტორში. ის არ არის მაღალი რგოლი, ეს არის საშუალო რგოლი. მინისტრებზე, მათ მოადგილეებზე და პირადად მათ მიერ საკუთარ თავზე გამოწერილ პრემიებს არ ვგულისხმობთ. ბანკები და სხვა კომპანიები – აქაც საშუალო დასაქმებულებს 700 ლარზე მეტი ხელფასი არ ექნებათ. სუპერმარკეტებში 200-300 ლარია ხელფასი. არც პედაგოგებს და არც ექიმებს არა აქვთ მეტი ხელფასი. აქ საუბარი მაქვს იმაზე, როგორ აწვდიან ჩვენი უფლებამოსილი სახელმწიფო სტრუქტურები არასწორ ინფორმაციას უცხოურ ორგანიზაციებს. სტატისტიკის დეპარტამენტმა მიიღო ძალიან დიდი დაფინანსება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და მეგობარი ქვეყნებიდან, რომ ჩვენი მონაცემები დაემსგავსოს რეალურ მონაცემებს.

***— როგორ ფიქრობთ, ამხელა სხვაობა მინისტრებისა და საშუალო მოსამსახურეების ხელფასებს შორის უნდა იყოს?***

— თუ ქვეყანა განვითარებულია, იქ ყველაზე დიდი მასა დასაქმებული ადამიანების საშუალო ფენებზე მოდის. ნორვეგიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში ძირითადი რაოდენობა მოდის საშუალო ფენაზე. მე დასაქმებულებს ვგულისხმობ. საქართველოში 10%-მდე მოდის მდიდარ ადამიანებზე, საბანკო სექტორი მაქვს მხედველობაში. წარმოება ჩვენთან, პრაქტიკულად, არ არსებობს. მდიდარი ადამიანები არიან მაღალი თანამდებობის პირები, მინისტრები და მათი მოადგილეები. ერთჯერადად აქვთ გამოწერილი ოცდახუთიათასლარიანი პრემიები. რომელიმე ბანკის ტოპმენეჯერს როცა ძალიან მაღალი ხელფასი აქვს, მინისტრებს რომ ასეთი ხელფასები არ ჰქონდეთ, ეს ნორმალურია, ასეა მთელ მსოფლიოში. როცა მართავ სახელმწიფოს, გაქვს ეს სტატუსი საჯარო მოხელისა, შენი ხელფასი ასეთი დიდი სხვაობით არ უნდა აღემატებოდეს საშუალო ადამიანის ხელფასს. როცა ასეთი დიდი დისბალანსია ხელფასებისა, ეს ქვეყნის უსაფრთხოებასაც ემუქრება. როცა ამდენი გაჭირვებული ადამიანია, ის პოტენციურად უკმაყოფილო ფენაა, მისი მოსყიდვა, მართვა სხვა ქვეყნის მიერ უფრო ადვილია. სოციალური სოლიდარობისა და თანასწორობის არსებობა ქვეყანაში კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით ჩვენთვის სასიკეთოდ შეიძლება გამოვიყენოთ, მაგალითად, ეს ფაქტორი მიიზიდავს იმ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს. სოციალურად დაცული ადამიანების თანაცხოვრება კარგი მაგალითი იქნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთათვის და კონფლიქტის მოგვარების გზადაც შეიძლება ვაქციოთ ეს ფაქტორი.

***— ალბათ, ხელისუფლებას საკუთარი გადმოსახედიდან ჰგონია, რომ რადგან მათი გარემოცვა კარგად ცხოვრობს, ყველა კარგად ცხოვრობს.***

— თუ ასე ფიქრობენ, თავს იტყუებენ ან სხვას ატყუებენ. სამსახურებრივად ვალდებული არიან საჯარო მოხელეები, ჰქონდეთ შეხება ყველა ფენასთან. როცა 5%-ია მდიდარი და დანარჩენი ლატაკია, ამდენი ადამიანი სამსახურს ეძებს, შეუძლებელია, არ ხედავდნენ ისინი ამ ვითარებას. საერთაშორისო ორგანიზაციებს ეჭვიც არ ეპარებათ იმაში, რომ აქ სახელმწიფო მოხელემ შეიძლება მათ ცრუ ინფორმაცია მიაწოდოს, მით უმეტეს, როცა საქართველოს დემოკრატიის გზაზე შემდგარ ქვეყნად თვლიან. ეს ხომ არ არის ბანანის რესპუბლიკა, შუა აზიის რომელიმე რესპუბლიკა, სადაც დემოკრატია არ არსებობს. გაეროს ერთ-ერთ კვლევას ვეცნობოდი და საინტერესო ინფორმაციას წავაწყდი – ყოველ გაჩენილ ბავშვზე დახმარება 200-დან 300 ლარამდე გაიცემა საქართველოშიო. გადავრეკე ჯანდაცვის სამინისტროში და ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს. მსგავსი რამ არ არსებობსო, მითხრეს. პიარია ან პროპაგანდა ხელისუფლების მიერ წარმოებული. ქვეყანაში ეკონომიკა განვითარდა და მიდის მშენებლობა, მაგრამ ამ დროს ადამიანები ამბობენ, რომ მათი პირადი მდგომარეობა გაუარესდა. თუ ქვეყანა ვითარდება, ადამიანების მდგომარეობა როგორ ფუჭდება, სად არის ლოგიკა? გამოდის, რომ ესეც ხელისუფლების პროპაგანდაა, უცხოელებს უთხრას, რომ აქ ყველაფერი შენდება და ქვეყანა წინ მიდის. ამიტომ უნდა მივაწოდოთ მათ ინფორმაცია, რომ ეს არ არის დემოკრატიული ქვეყანა და, რასაც მათ აწვდიან, არ არის სწორი. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებიც იქნება ადეკვატური.

# ბეჟუაშვილის ჯგუფელ ელიზარიანის მედიაბიზნესი საქართველოში

## ვინ ნერგავს პოლიტიკურად მოტივირებულ თვითცენზურას

შალვა ჯოხაძე

„ფორბს ჯორჯიას“ მთავარი რედაქტორის, რევაზ საყევარიშვილის სკანდალური განცხადებისა და თანამდებობიდან წასვლის შესახებ შეფასებები დღემდე კეთდება. „ფორბს ჯორჯიასთან“ დაკავშირებული შემთხვევის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ სვამს კითხვას: „პოლიტიკურად მოტივირებული თვითცენზურა?“

– შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ, ქართულ მედია სივრცეში განვითარებული მოვლენები ქვეყანაში არსებულ პოლარიზებულ და დაძაბულ პოლიტიკურ გარემოს ასახავს.

27 მარტს ცნობილი ქართველი ჟურნალისტი რევაზ საყევარიშვილი „ფორბს ჯორჯიას“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან გადადგა. იმავე დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე მან ბრალი დასდო „ფორბსის“ გამოცემის უფლებისმქონე კომპანია „მედია პარტნერსის“ დამფუძნებელს, გაგიკ ელიზარიანს იმაში, რომ იგი 2011 წლის შემოდგომაზე, „ფორბს ჯორჯიას“ გამოცემის დაწყების დღიდან, ხშირად ეროდა მის სარედაქციო მუშაობაში.

მარტის გამოცემაში ამერიკულმა „ფორბსმა“ თვალსაჩინო სტატია მიუძღვნა ოლიგარქსა და ქართული ოპოზიციის ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ჟურნალის მიერ შემუშავებული მილიარდერების სიაში 153-ე ადგილს იკავებს, – შეგვახსენებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლები.

ისინი ასევე შეგვახსენებენ, საყევარიშვილმა განაცხადა, რომ ასეთ ვითარებაში მან „ფორბს ჯორჯიაში“ ივანიშვილთან ინტერვიუს გამოქვეყნება ლოგიკურად ჩათვალა. ყოფილი რედაქტორის თქმით, ელიზარიანს ინტერვიუსთვის მომზადებული შეკითხვები არ მოეწონა. ელიზარიანმა საყევარიშვილს მოსთხოვა, ისინი ჩაენაცვლებინა კითხვებით, რომლებიც გვერდს უვლიდა პოლიტიკურ საკითხებს და „საკმაოდ აბსტრაქტულ თემებზე“ იყო კონცენტრირებული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ საუბარში საყევარიშვილმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, ელიზარიანმა სცადა, არ გაელიზიანებინა საქართველოს საგარეო დაზვერვის სამსახურის უფროსი გელა ბეჟუაშვილი. ჟურნალისტის თქმით, „მედია პარტნერსის“ დამფუძნებელს მასთან საუბარში ბეჟუაშვილთან საკუთარი კარგი ურთიერთობისათვის ხაზი არაერთხელ გაუსვამს. ელიზარიანიცა და ბეჟუაშვილიც 2003/04 წლებში ჰარვარდის კენედის მმართველობის-მართვის სკოლაში სწავლობდნენ.

საყევარიშვილის მიერ საკუთარი გადადგომის შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, „მედია პარტნერსმა“ თავის მხრივ, განცხადება გაავრცელა, საყევარიშვილი დაკავებული თანამდებობიდან იმის გამო გათავისუფლდა, რომ მან მილიარდერ ივანიშვილთან ინტერვიუს შეკითხვები რუსული ყოველდღიური ბიზნეს გამოცემის, „ვედომოსტისათვის“ 2005 წელს მიცემული ინტერვიუდან გადმოიწერა.

– ტექსტის პუბლიკაცია, რომელიც გამოქვეყნებული იყო სხვა გამოცემის მიერ, საქმიანი საგამომცემლო ეთიკის უხეში დარღვევაა. ჩვენს მკითხველს, ისევე, როგორც კოლეგებს რუსული გამოცემიდან, რომლებიც ფლობენ საავტორო უფლებებს ინტერვიუს ორიგინალურ ტექსტზე, სრული უფლება ექნებოდათ დავედანაშაულებინეთ პლაგიატში. არც ერთი ღირსეული გამომცემლობა, რომელიც ზრუნავს საკუთარ რეპუტაციაზე, თავს უფლებას არ მისცემს მსგავსი ნაბიჯი გადადგას.

ეს ისტორია ცენზურასთან არ არის დაკავშირებული, მხოლოდ იურიდიულ საკითხებს და საგამომცემლო საქმიანობის ეთიკას ეხება. რევაზ საყევარიშვილი გათავისუფლდა სარედაქციო პოლიტიკის იურიდიული და ეთიკური ასპექტების დარღვევისთვის, რომელთა დაცვაც მისი, როგორც ჟურნალ „ფორბს ჯორჯიას“ მთავარი რედაქტორის, სამსახურებრივი მოვალეობა იყო.

რევაზ საყევარიშვილის ყველა განცხადება პროტესტის ნიშნად თანამდებობის დატოვების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება,



– განაცხადეს „მედია პარტნერსში“.

თანამდებობიდან წასვლის შემდეგ რევაზ საყევარიშვილმა გადაწყვიტა, გამოექვეყნებინა ივანიშვილთან საკამათო ინტერვიუ, რომელიც მან ონლაინში აიღო.

– საბოლოო ჯამში, ინტერვიუ 3.000 (საყევარიშვილის თანახმად, „ფორბს ჯორჯიას“ ტირაჟი) ადამიანზე მეტმა წაიკითხა და ყველას თავად შეუძლია გადაწყვიტოს, რა შეკითხვები დავუსვი ივანიშვილს და რას შეიძლება გაენაწყენებინა გაგიკ ელიზარიანი, – აღნიშნა საყევარიშვილმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა– საქართველოსთან“ საუბარში.

– „ფორბს ჯორჯიას“, „ფორბს მედიას“ მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე გამოსცემს ქართული კომპანია – სს „მედია პარტნერსი“, რომლის 50%-ს სომხეთის მოქალაქე გაგიკ ელიზარიანი ფლობს, მეორე 50%-ს კი - სომხური წარმოშობის კანადის მოქალაქე არტურ პოლოსიანი. ელიზარიანი ამავე დროს „კოსმოპოლიტენის“ სომხური ვერსიის გამომცემელია. ჰარვარდის კენედის სკოლის ბოლო პერიოდის ერთ-ერთი გამოცემის თანახმად, ელიზარიანი დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორია სომხური საკონსულტაციო ფირმისა, რომელსაც ყაზახეთში აქვს ოფისი. იგი სომხეთის განვითარების სააგენტოს პირველი აღმასრულებელი დირექტორი იყო, მსახურობდა მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილედ, ასევე ეჭირა პრივატიზაციისა და უცხოური ინვესტიციების მინისტრის მოადგილის პოსტი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიაჩნია, რომ სარედაქციო პოლიტიკაში რაიმე სახის გარე ჩარევა დაუშვებელია.

– გარდა ამისა, ვთვლით, რომ თვითცენზურა მრავალი მედიასაშუალებისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და საჯარო დებატებში მას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. მედიის ადვოკატირების სამოქალაქო ჯგუფმა, მედია კოალიციამ, რომლის ერთ–ერთი წევრია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ასევე გამოხატა საკუთარი შეშფოთება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, – დასძენენ ორგანიზაციაში.

„ფორბს ჯორჯიას“ მიერ გავრცელებულ განმარტებას კოალიცია „არჩევნის თავისუფლებისთვისაც“ გამოეხმაურა.

– „ფორბს ჯორჯიამ“ საპასუხო განცხადებაში, რომელიც 28 მარტს საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა, რევაზ საყევარიშვილი პლაგიატში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მთავარი რედაქტორი „გათავისუფლებული იქნა სარედაქციო პოლიტიკის იურიდიული და ეთიკური ასპექტების დარღვევისთვის, რომელთა დაცვაც მისი, როგორც ჟურნალ „ფორბს ჯორჯიას“ მთავარი რედაქტორის, სამსახურებრივი მოვალეობა იყო“.

გამოცემამ ასევე განმარტა, რომ „გათავისუფლების მიზეზი გახდა რევაზ საყევარიშვილის მიერ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუში უმეტესი კითხვების კოპირება რუსული „ვედომოსტის“ 2005 წლის 7 აპრილის სტატიიდან „არ მეგონა, თუ გავხდებოდი მილიარდერი“.

ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ როგორც „ვედომოსტის“ 2005 წლის 7 აპრილის სტატია, ისე რევაზ საყევარიშვილის მიერ მომზადებული ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან. ანალიზის შედეგად დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ ორ სარედაქციო მასალას შორის მსგავსება მხოლოდ და მხოლოდ ერთი და იგივე რესპონდენტი და მისი ბიოგრაფიაა, რომელსაც იგი სხვადასხვა გამოცემისთვის ვერ შეცვლის. შესაბამისად, რევაზ საყევარიშვილის მიერ მომზადებულ ინტერვიუში არავითარი პლაგიატი არ იკვეთება, – აცხადებენ კოალიცია „არჩევნის თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლები.

მათივე ცნობით, „ფორბს ჯორჯიამ“ რევაზ საყევარიშვილის პლაგიატში დადანაშაულებით შელახა ჟურნალისტის ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ამიტომაც მოითხოვენ გამოცემისგან, ან ფაქტებით დაადასტუროს პლაგიატი, ან საჯაროდ უარყოს ბრალდება, რომელიც რევაზ საყევარიშვილის, როგორც ჟურნალისტის, აშკარა დისკრედიტაციისკენ არის მიმართული.

– გარდა ამისა, ჩვენ ასევე შევისწავლეთ დოკუმენტაცია, თუ რა უფლება-მოვალეობები გააჩნდა, ერთი მხრივ, „ფორბს ჯორჯიას“ გამოცემის უფლების მქონე კომპანია „მედია პარტნერსს“, ხოლო, მეორე მხრივ, „ფორბს ჯორჯიას“ მთავარ რედაქტორს.

წესდებისა და რევაზ საყევარიშვილთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, „მედია პარტნერსს“ არ ჰქონდა უფლება, ჩარეულიყო სარედაქციო საქმიანობაში და დირექტივები მიეცა გამოცემის მთავარი რედაქტორისთვის. აქვე, „ფორბს ჯორჯიას“ გამომცემლებს შევახსენებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციით, „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ხოლო ცენზურა – დაუშვებელი“, – დასძენენ კოალიციაში.

# ლეიბორისტები რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვენ

შორენა კოწოწაშვილი


გიორგი გუგავა

ლეიბორისტული პარტია ავღანეთში ქართველი სამხედროების ყოფნას აპროტესტებს და მიაჩნია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ქართველი ჯარისკაცების სხვის ომში გაგზავნა.

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ეს ერისთვის მეტად მტკივნეული საკითხია და ის არა სააკაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა, არამედ მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, უნდა იმყოფებოდეს თუ არა ჩვენი ჯარის შენაერთები ავღანეთის ტერიტორიაზე.

გუშინ ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ოფიციალური განაცხადი შეიტანეს, სადაც დაფიქსირდა, რომ ლეიბორისტული პარტია ავღანეთიდან ქართველი სამხედროების გამოყვანის საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს.

როგორც ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განმარტა, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ქართველი სამხედროების უცხო ქვეყნის ომში ყოფნა, არა ვიწროსახელისუფლო ჯგუფებმა, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს. რეფერენდუმის ჩატარება კი, გუგავას თქმით, ამის გასარკვევად ყველაზე სწორი გზაა.

– განაცხადში, რომელიც დღეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შევიდა, ჩვენ ვითხოვთ, რეფერენდუმი საპარლამენტო არჩევნების პარალელურად ჩატარდეს. პარტიის განცხადება ცესკომ 10 დღის ვადაში უნდა განიხილოს, – განაცხადა გიორგი გუგავამ.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ბოლო რამდენიმე წელია ქართველი ჯარისკაცები ავღანეთის ოპერაციებში იღებენ მონაწილეობას. ამას ხელისუფლება ნატოში გაწევრიანების გზაზე ერთ-ერთ აუცილებელ ნაბიჯად თვლის. ხელისუფლება ამტკიცებს, როგორც ამერიკის პარტნიორი ქვეყნისთვის – საქართველოსთვის ავღანეთში ჯარისკაცების გაგზავნა ძალიან მნიშვნელოვანია.

– იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს სამართლიან მოთხოვნაზე პასუხი უარყოფითი იქნება, კიდევ ერთხელ დამტკიცდება, რომ ქართველი სამხედროები სხვის ომში მხოლოდ ხელისუფლების მაღალჩინოსნების ინტერესებს ეწირებიან, – განაცხადა გიორგი გუგავამ.

# ღვინის მუზეუმი საფრთხეშია

შორენა კოწოწაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია „კავშირი – დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ალექსანდრე ლომოური სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული არასწორი გადაწყვეტილებებით პირადად პრეზიდენტ სააკაშვილს სთხოვს დაინტერესებას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ მიზანმიმართულად ხდება „მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის" განადგურება და იმ ქონების არაჯეროვნად გამოყენება, რასაც ინსტიტუტი ფლობს.

– საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ „მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევით ინსტიტუტს", რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიაზე მდებარეობს და 5800 კვ.მ ფართობი უკავია, საკმაოდ მნიშვნელოვანი დატვირთვის იყოს, თუმცა, როგორც ჩანს, აგრარულ სექტორთან მიმართებაში მიდგომები იცვლება. სახელმწიფომ ინსტიტუტის საკუთრებაში არსებული ექსპერიმენტული ბაზა, რომელიც 3000 კვ. მ ფართობზე იყო განთავსებული, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადასცა სარგებლობის უფლებით. ხოლო 2800 კვ.მ-ზე არსებული შენობა-ნაგებობა, სადაც ინსტიტუტი იყო განთავსებული, სახელმწიფო საკუთრებაში რჩება. კვლევით ინსტიტუტს კი დაცლა მოსთხოვეს, – აცხადებს ალექსანდრე ლომოური.

აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტული ბაზა 1962 წელს აშენდა. მასში განთავსებულია ღვინის მარანი, სადაც ინახება 26 000 ცალი 700-მდე სახეობის 1894 წელს ჩამოსხმული და სხვადასხვა წლოვანების ღვინოები; ხილის შენახვისა და გადამუშავების სამაცივრო განყოფილება; ენოთეკა; ღვინის მუზეუმი უნიკალური ნივთებით და სადეგუსტაციო დარბაზი.

არასამთავრობო ორგანიზაცია ხელისუფლების და პირადად ქვეყნის პრეზიდენტის დაინტერესებას ითხოვს ამ საკითხისადმი.

– სახელმწიფომ „მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტი" პრაქტიკულად უფუნქციოდ დატოვა და დროთა განმავლობაში მისი გაუქმებაც შეიძლება მოხდეს. ეს არის ხელისუფლების შეგნებული პოლიტიკა, რომ საქართველოში განადგურდეს ეროვნული საგანძური და ღვინის სამშობლოდ წოდებულ ქვეყანაში მსგავსი რამ აღარ იარსებებს. როცა ხელისუფლება მდგრადი ეკონომიკური სამინისტროს მეშვეობით აუქციონზე გასაყიდად გაიტანს 5800 კვ.მ ფართობს, სადაც კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ არსებობს უნიკალური ექსპერიმენტული ბაზა და ღვინის მარანი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესწევს თუ არა უნარი მარანში არსებული ეროვნული სიმდიდრე შესაბამის პირობებში მოათავსოს და მის შესანახად ფინანსებიც გამოყოს? ეს მაშინ, როცა ქვეყანაში სოფლის მეურნეობა დანგრეულია, განადგურებულია საჭირო ინფრასტრუქტურა, – აცხადებს ალექსანდრე ლომოური. მისი თქმით, აშკარად საფრთხე ემუქრება ეროვნულ სიმდიდრეს, რომლის პირდაპირი განმკარგავი ახლა უკვე ქვეყნის დაქცეული და განადგურებული დარგის მმართველისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი თავად სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის.

არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ალექსანდრე ლომოური მიმართავს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს, რათა პირად კონტროლზე აიყვანონ და შეისწავლონ არსებული საკითხი და მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა.

ალექსანდრე ლომოური პრეზიდენტისგან ითხოვს, გათვალისწინებული იქნეს ქვეყნის ინტერესები – სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩამოერთვას ექსპერიმენტული ბაზა და კვლავ კვლევით ინსტიტუტს დაუბრუნდეს.

**განცხადება**

**2011 წლის 26 თებერვალს გარდაცვლილი ივანე ასათიანის მეუღლე მანანა ასათიანი მამკვიდრებლის დანაშთი ქონებიდან ითხოვს ცოცხლად დარჩენილი მეუღლის წილის გამოყოფას და საკუთრების მოწმობის გაცემას მის სახელზე.**

**აღნიშნული სამემკვიდრეო საქმის წარმოება მიმდინარეობს ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილთან. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ნოტარიუსს მის სანოტარო ბიუროში: ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქ.12. ტელ: 27-73-43.**

**ელ.ფოსტა: KKalandarishvili@notary.ge**

# მოხდება თუ არა ქართველი ქალების მალაიზიიდან ექსტრადირება

ნათია ხურცილავა

**პრეზიდენტის ადმინისტრაცია „ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს. ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა.**

– ამის შესახებ უნდა მიმართოთ იუსტიციის სამინისტროს, რომელიც ამ გადაწყვეტილებას იღებს. მე ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარ ინფორმაციას არ ვფლობ, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატების ცნობით, 5 აპრილს იწურება ვადა, როდესაც პრეზიდენტმა სამოქალაქო რეესტრის დასკვნის საფუძველზე ივანიშვილს ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობა უნდა აღუდგინოს. პრეზიდენტმა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა 2011 წლის 11 ოქტომბერს შეუწყვიტა.

არ არის გამორიცხული, რომ „ქართულ ოცნებას" ათვლის, რომელიც სწორედ 5 აპრილზე აკეთებს აქცენტს, გადაწევა მოუწიოს. სწორედ ოთხდღიანი ვადა, რომელიც დოკუმენტაციის ხარვეზის გასასწორებლად ითხოვა ერთ-ერთმა მხარემ, შეიძლება აღნიშნულ ვადას დაემატოს.

ამის შესახებ იუსტიციის პირველმა მოადგილემ თინათინ ბურჯალიანმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებული კითხვის პასუხად.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა მალაიზიაში გამართულ სასამართლო პროცესზე ისაუბრა, რომელმაც საქართველოს მოქალაქეს ბაბუცა გორდაძეს სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა თავისუფლების 8 წლის აღკვეთით შეუცვალა.

მანანა მანჯგალაძის განცხადებით, ახლა ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეების მალაიზიიდან საქართველოში ექსტრადაციაზე მუშაობს.

როგორც ცნობილია, მალაიზიურ მხარესთან მოლაპარაკებებს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე დავით საყვარელიძე აწარმოებს. – საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ მალაიზიაში დაკავებულმა საქართველოს მოქალაქეებმა სასჯელი საქართველოს ტერიტორიაზე მოიხადონ, – ამის შესახებ პრეზიდენტის პრესპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ამისთვის ბევრი დეტალია გასათვალისწინებელი. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საგარეო უწყებასთან ერთად უდიდესი ძალისხმევა ჩადო და ურთულესი სამუშაოები გასწია, რომ შეცვლილიყო მძიმე განაჩენი, რომელსაც მალაიზიური კანონმდებლობა ითვალისწინებდა.

მანანა მანჯგალაძემ პრეზიდენტის სახელით მადლობა გადაუხადა იმ პირებს, ვინც აღნიშნულ პროცესში იყო ჩართული.

– მთავარი პროკურორის მოადგილის დავით საყვარელიძის ხელმძღვანელობით მორიგი სამუშაო ჯგუფი გაემგზავრა მალაიზიაში, რათა დარეჯან კოხტაშვილის მსგავსად, ბაბუცა გორდაძესაც სასჯელი შემსუბუქებოდა და რამდენიმე საათის წინ ცნობილი გახდა, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია. მათ სასჯელი შეუმსუბუქდათ და რაც მთავარია, სიცოცხლე შეუნარჩუნდათ, – განაცხადა მანჯგალაძემ.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა ასევე ყურადღება გაამახვილა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალ პროექტზე – ისწავლე დღეს, დასაქმდი ხვალ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 25 წლიდან მოქალაქეებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ, გადამზადების პროგრამა გაიარონ,


მანანა მანჯგალაძე

რომელიც მათ, როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერი ამბობს, დასაქმებაში ხელს შეუწყობს.

აღნიშნული პროექტი 15 სექტემბერს დაიწყება და ორი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

– ეს პროექტიც პრეზიდენტის ინიციატივაა. ამ პროექტის მიხედვით სახელმწიფოს დახმარებით ხდება დაინტერესებულ პირთა გადამზადება. გათვალისწინებულია ასაკი, – აღნიშნა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.

მანანა მანჯგალაძემ რამდენიმე ობიექტზე ისაუბრა, სადაც სამუშაო ადგილები შეიქმნა ჩვენი მოქალაქეებისთვის.

– პრეზიდენტმა მცხეთაში ახალი საწარმო გახსნა, რომელიც მთლიანად ქართული ინვესტიციით არის დაფინანსებული. საწარმოში უკვე 700-მდე ადამიანმა იპოვა სამუშაო ადგილი. რამდენიმე დღეში საქართველოს პრეზიდენტს სხვა სახის ღონისძიებები აქვს დაგეგმილი, რომელიც კონკრეტულად დასაქმების პრობლემას უკავშირდება. მხოლოდ ბორჯომში 5 ახალი სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს. ამ პროექტის ფარგლებში 1500-მდე ადამიანი დასაქმდება. ეს არის კონკრეტული პროექტები, რომლის ფარგლებში ასეულობით ჩვენმა მოქალაქემ უმუშევრობის პრობლემა მოიხსნა. თუმცა ამ მიმართულებით პრობლემა ბევრია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პრობლემა, რომლის წინააღმდეგაც საქართველოს ხელისუფლება 2012 წელს კოორდინირებულად მუშაობს. უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებული ადგილი ინფრასტრუქტურულ პროექტებს უკავია. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში 25 ათასი ადამიანის დასაქმება არის გათვალისწინებული. 15 ათასი ადამიანი ჩაერთვება წყლის ინფრასტრუქტურის მიმართულებით გაწეულ სამუშაოებში. 4 ათასი ადამიანი რკინიგზაში. ასევე რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილი გათვალისწინებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში. წელს ერთდროულად რამდენიმე ახალი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა არის დაგეგმილი, გარკვეული სამუშაოები დაწყებულია და რამდენიმე ასეული ადამიანი უკვე ჩართულია სამუშაოებში. მთლიანად განსაზღვრულია 13 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სააკაშვილის ბრიუსელში ვიზიტზე ისაუბრეს. მანჯგალაძის განცხადებით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ნატოს გენერალურ მდივანთან ანდრეს ფოგ რასმუსენთან გამართა შეხვედრა.



## ივანიშვილი ამომრჩეველთა ლიგის" დაარსებას მიესალმება

ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებრივი მოძრაობა „ამომრჩეველთა ლიგის" დაარსებას მიესალმება. ამის შესახებ მან ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, კონკრეტულად არ განხილულა, რა ტიპის თანამშრომლობა შეიძლება შედგეს „ამომრჩეველთა ლიგასთან" თუმცა, დადებითია, რომ მსგავსი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა.

„ვნახოთ რამდენად ეფექტურები იქნებიან ისინი და რამდენად მოახერხებენ სამართლიანი არჩევნების ჩატარების პროცესს ხელი შეუწყონ" – განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება 28 აპრილს ლიგის მიერ დაგეგმილ მანიფესტაციას, ივანიშვილის შეფასებით იგი მისაღებია, თუ მას ერთჯერადი ხასიათი ექნება.

„მათ სულ სხვა მიზნები აქვთ და ჩვენ სხვა მიზნები, ამიტომ არ ვიცი თანამშრომლობა რა ფორმატში შედგება. მივესამებით ყველას, ვისაც სურს სამართლიანი არჩევნების პროცესის ხელშეწყობა" – განაცხადა ივანიშვილმა.

„ამომრჩეველთა ლიგის" პრეზენტაცია გუშინ შედგა. მასში შედიან ძმები გაჩეჩილაძეები, თავდაცვის ყოფილი მინისტრი გია ყარყარაშვილი, გოგა ხაინდრავა, კოკა გუნცაძე და სხვები.

„ამომრჩეველთა ლიგა" 28 აპრილს თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა.

**ნიუსპრესი**

## სახალხო კრება" მუშაობას ახალ მისამართზე გააგრძელებს

„სახალხო კრება" მუშაობას ახალ მისამართზე, კავსაძის №7-ში გააგრძელებს. კრების პრესსამსახურის ინფორმაციით, ნებისმიერ მოქალაქეს, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს „სახალხო კრების" საქმიანობაში და გაეწიოს იურიდიული კონსულტაცია, უკვე შესაძლებლობა აქვს, მიაკითხოს სათაო ოფისს აღნიშნულ მისამართზე, ყოველ დღე, კვირის გარდა, 10:00-დან 18:00 საათამდე ან დარეკოს შემდეგი ტელეფონის ნომრებზე: 2 18 40 36, 2 18 40 37.

როგორც ცნობილია, „სახალხო კრების" ოფისი, რომელიც ცაგარელის ქუჩაზე მდებარეობდა, 2011 წლის 26 მაისის ღამეს პოლიციის მიერ დაილუქა. როგორც კრებაში აცხადებენ, მთავარი ოფისი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, 7 თვის მანძილზე დალუქული იყო, ხელისუფლებას მათთვის დღემდე არ დაუბრუნებია ჩამორთმეული ქონება და მთელი ამ პერიოდის მანძილზე „სახალხო კრებას" არ ეძლეოდა ნორმალური ფუნქციონირების საშუალება. **ინტერპრესნიუსი**



## ირაკლი ალასანია: ხელისუფლებამ შეიარაღებული ფორმირებების სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება დაიწყო

ხელისუფლებამ შეიარაღებული ფორმირებების შექმნის სამართლებრივი ბაზის სწრაფი მოწესრიგება დაიწყო. ეს განცხადება „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ გააკეთა.

„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერის თქმით, მის მიერ გაკეთებული განცხადება ხელისუფლების მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნის თაობაზე პრევენციული ხასიათის იყო. მისივე თქმით, ამ ფორმირებების არსებობა დადასტურებულია.

„რაც შეეხება რუსეთთან ომის საფრთხეს, რამდენიმე თვის წინ იგივე ბოკერიამ განაცხადა, რომ ასეთი საფრთხე არ არსებობს დღეს კი აცხადებს, რომ არსებობს. საქმე მინიმუმ ერთმანეთთან შეუთანხმებელ სხვადასხვა პოზიციასთან გვაქვს" – განაცხადა ალასანიამ.

**ნიუსპრესი**

# „კავკასიური ფილმების ფესტივალი“ დაიხურა

ეკა ირემაშვილი

„კავკასიური ფილმების ფესტივალი“ თბილისში დაიხურა. იგი გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა. ზუსტად ასეთივე ტიპის ფესტივალი თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე, თბილისის პარალელურად, ერევანსა და ბაქოშიც მიმდინარეობდა. პროექტი დიდი ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა. ფესტივალის გახსნაზე სერგო ფარაჯანოვის ფილმი „ბროწეულის ფერი“ იქნა წარმოდგენილი. გახსნის ცერემონია მისმა ორგანიზატორებმა დახურეს, ამიტომ მასზე მოხვედრა მხოლოდ მოსაწვევებით იყო შესაძლებელი. ფესტივალის დანარჩენ დღეებში ფილმების ჩვენებაზე დასწრება ლიტერატურულ მუზეუმში თავისუფალი და უფასო იყო. პროგრამაში გაერთიანდა როგორც ძველი, ისე ახალი ფილმები.

როგორც ლიტერატურული მუზეუმის დირექტორმა და ფესტივალის ორგანიზატორმა ლაშა ბაქრაძემ განაცხადა, მისთვის ამ ფილმების შედგენაზე მუშაობა საინტერესო იყო.

– ჩვენ ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, თუ რა ფილმები შეიძლება ყოფილიყო ფესტივალზე წარდგენილი. ამ ფილმების მოძიება, ფილმებზე უფლებების მოპოვება და ხარისხიანი ასლების შეგროვება იოლი ნამდვილად არ იყო, კარგი ხარისხით რომ გვეშოვა და საავტორო უფლებებზეც პრობლემა არ შეგვქმნოდა, თუმცა, საბოლოოდ ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო პროგრამა გამოვიდა, რომელიც მოიცავს როგორც ძველ, ისე ახალ ფილმებს. ძირითადად ეს ისეთი ნამუშევრებია, რომელზეც არცთუ ისე ბევრ ადამიანს მიუწვდება ხელი, ფესტივალის გარეშე რომ ნახოს, – აღნიშნა ლაშა ბაქრაძემ.

ფესტივალის განმავლობაში კინომოყვარულებმა 12 ფილმი ნახეს, მათ შორის ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ეთნიკურად აფხაზი და ოსი რეჟისორების მიერ სხვადასხვა დროს გადაღებული ფილმები.

– საფესტივალო პროგრამაში ჩასმული ძველი ფილმები ერთგვარად ნოსტალგიურია, ვინაიდან თანამედროვეობისგან განსხვავებულ სივრცეშია გადაღებული, როცა კავკასიის მცხოვრებნი უფრო მჭიდრო კავშირში იყვნენ ერთმანეთთან და ხშირად საერთო კულტურულ პროდუქციასაც ქმნიდნენ. ამის მაგალითია ის, რომ სერგო ფარაჯანოვის ერთ-ერთ ფილმში მთავარ როლს ეთნიკურად ოსი მსახიობი თამაშობს, დღეს კი, მათთან კულტურული კოლაბორაციის მაგივრად, კონფლიქტური სიტუაცია გვაქვს. თუმცა, პროგრამა მოიცავს ბოლო პერიოდში გადაღებულ ფილმებსაც, რომლებიც ერთგვარად იმედის მომცემია, – განაცხადა ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში ჯუდით გოფმა.

საფესტივალო პროგრამაში წარმოდგენილი იყო ბოლო წლებში გადაღებული მნიშვნელოვანი ფილმი დოვერ კოსაშვილის რეჟისორობით – „დაგვიანებული ქორწინება“. ფილმი მოგვითხრობს 31 წლის ებრაელის, ჭკვიანი და ლამაზი ზაზასა და მისი ოჯახის შესახებ, რომელსაც უკიდურესად მნიშვნელოვანი მისია აქვს დაკისრებული – ზაზასთვის კარგი ოჯახიდან გამოსული გოგოს პოვნა, ვინაიდან უკვე დადგა დრო, რომ ზაზამ ოჯახი შექმნას. როგორც ფესტივალის ორგანიზატორებმა განმარტეს, დოვერ კოსაშვილი თბილისელი ებრაელია, რომლის ფილმებიც საქართველოს გარეთ უფრო პოპულარულია, ვიდრე საქართველოში.

კავკასიური ფილმების ფესტივალზე ნაჩვენები იქნა 2010 წელს გადაღებული ფილმი „ძაღლების ისტორია“, რომელიც კონსტანტინოპოლის ქუჩების ბინადარი ძაღლების შესახებაა. ეს მუნჯი ფილმია და მისი რეჟისორი საფრანგეთში მცხოვრები და საკმაოდ პოპულარული სომეხი რეჟისორი სერჟ აvedikiaნია.


ლაშა ბაქრაძე

– საფესტივალო პროგრამა მოიცავდა 1986 წელს გადაღებულ ვიაჩესლავ აბლოთიას აფხაზურ ფილმს „სუვენირს“ და მურატ ჯუოსიტის ოსურ ფილმს „მთიელს“. აფხაზურ ფილმად არის მიჩნეული აფხაზი რეჟისორის ადა კვირაიას ფილმი „ზიარება“, რომელიც ახალ ათონზე ახალგაზრდა ბერების ცხოვრებას ასახავს. ეს ფილმები არაჩვეულებრივი საშუალებაა, ვნახოთ, რა ხდება იქ, სადაც ჩვენ გარკვეული მიზეზების გამო ხელი, თვალი და ყური არ მიგვიწვდება. ამ ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საზოგადოების ამ ფილმებით დაინტერესება და მსჯელობისა და დისკუსიის გამართვა მათში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, რის საშუალებასაც იძლევა როგორც ლიტერატურის მუზეუმის სივრცე, ასევე, საფესტივალო პროგრამა, რომელიც დღეში 2 ფილმის ჩვენებას ითვალისწინებდა, – განმარტა ლაშა ბაქრაძემ.

ფესტივალის პროგრამაში გაერთიანდა ფილმები „ბროწეულის ფერი“ სერგო ფარაჯანოვი, „მთიელი“ მურატ ჯუსოიტი, „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“ სერგო ფარაჯანოვი, „ზიარება“ ადა კვირაია, „სუვენირი“ ვიაჩესლავ აბლოთია, „არშინ მალ-ალან“ უზეირ ჰაჯიბეკოვი, „პოლიციის განყოფილება“ ილგარ საფატი, „პეპო“ ამო ბეკნაზარიანი, „ძაღლების ისტორია“ სერჟ ავედიკიანი, „გადაჯაჭვული პარალელები“ ოვანეს გალსტიანი, „ჩემი ბებია“ კოტე მიქაბერიძე და „დაგვიანებული ქორწინება“ დოვერ კოსაშვილი.

– კავკასიას ფილმების წარმოების მდიდარი წარსული და მემკვიდრეობა აქვს. ამ მრავალფეროვან რეგიონში მრავალმა ცნობილმა რეჟისორმა და მსახიობმა მოიყარა თავი. სხვადასხვა კონფლიქტების დაწყებამდე, ხელოვანები ერთად მუშაობდნენ და ერთობლივად მთელი რიგი ხელოვნების ნიმუშები შექმნეს, რომლებსაც თბილისის ფესტივალის ფარგლებში იხილავთ. თბილისის ფესტივალი არა მხოლოდ წარმოაჩენს ნიჭსა და კრეატიულობას, არამედ მისცემს მონაწილე ხელოვანებს ურთიერთობის შესაძლებლობას, მიუხედავად იმ ახალი რეალობისა, რომელიც უკანასკნელი წლების სხვადასხვა ტერიტორიული კონფლიქტების შედეგად წარმოიშვა, – ასე შეაფასა ფესტივალი და მასზე წარმოდგენილი ფილმები დიდი ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში ჯუდით გოფმა.

# ნოდარ ქუმარიტაშვილს სიმღერა მიუძღვნეს

ეკა ირემაშვილი

ვანკუვერში ტრაგიკულად დაღუპულ ქართველ მოციგავეს ნოდარ ქუმარიტაშვილს კომპოზიტორმა ჯანო თითირაშვილმა სიმღერა მიუძღვნა. ბაკურიანელი სპორტსმენის გარდაცვალებას სიმღერა „მონატრება“ კომპოზიტორმა ოთარ ტატიშვილმაც მიუძღვნა, რომელსაც ტექსტი ნანა ცინცაძემ დაუწერა და ის დუეტმა „ჯორჯიამ“ შეასრულა. ჯანო თითირაშვილმა სიმღერისა და კლიპის პრემიერა ბაკურიანში ნოდარ ქუმარიტაშვილის მშობლიურ კუთხეში სპეციალურად დაგეგმა. სიმღერისა და კლიპის პრეზენტაციამდე და კონცერტის გამართვამდე კი ბაკურიანში ტურნირი მოეწყო, რომელშიც მონაწილეთა ასაკი 6-დან 70 წლამდე განისაზღვრა. ბევრი მათგანი გოგონა აღმოჩნდა. 8 ასაკობრივი ქვეჯგუფის მონაწილეებმა უმაღლესი ტექნიკა აჩვენეს. მარტო ბაკურიანის სპორტ-კომპლექსიდან 50-მდე მონაწილე იღებდა მონაწილეობას. ტურნირის ყველა გამარჯვებულს კომპოზიტორმა გადასცა სიდი დისკი, რომელზეც ჩაწერილია კლიპი. კომპოზიტორმა ჩანაწერებით დაასაჩუქრა ბორჯომის ტელევიზია და მედიაცენტრის წარმომადგენლები.

**ჯანო თითირაშვილი, კომპოზიტორი:**

– ნოდარის გარდაცვალებამ შეძრა არა მარტო საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო. სულ მინდოდა, ამ პატარა გმირისთვის სიმღერა მიმეძღვნა და ეს ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანე. ნოდარის მშობლიურ ბაკურიანს ვესტუმრეთ მე და ხელოვნების სტუდია „იმედის“ წევრები, სადაც ჩავატარეთ კონცერტი. სპეციალურად ამ საღამოსთვის შევარჩიეთ პროგრამა და ავარჩიეთ მხოლოდ 3 მონაწილე – უკრაინის, ესპანეთის, გერმანიისა და რუმინეთის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალების წარმატებული მომღერალი, გრანპრის მფლობელი, 17 წლის მარიამ კაპანაძე, მაკედონიისა და სერბეთის პირველი პირველი ადგილის და გრანპრის მფლობელი 10 წლის ნინო მუჯირიშვილი-ნემსაძე და საქართველოს სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალების ლაურეატი 15 წლის ქეთი ანდრიაშვილი. ბაკურიანში ჩასვლისთანავე კინოთეატრ „დიდველს“ ვეწვიეთ,

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## SMS-განცხადებები - 3090

**იყიდება**

● მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით. შესაძლებელია განვადება. ფასი 28.000 დოლარი. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკისა და რაოდენობის ფოთლოვან და წიწვოვან ხე-მცენარეთა ნერგები, ფასი 5-დან 50 ლარამდე. დავეხმარებით აგრეთვე დეკორატიული კუთხეების მოწყობასა და მის გამწვანებაში. ტელ: 599-15-67-28; 2-36-28-78.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იყიდება ან იცვლება საკუთარი სახლი საერთო ფართით 110 კვ.მ. 1,5 ან 2-ოთახიან ბინაზე შესაბამისი თანხის დამატებით. ფასი 55.000 დოლარი. მისამართი: ნუცუბიძის I მ/რ, სახლი №5ა. ტელ: 599-41-52-29; 568-10-65-48; 232-52-29; 231-48-72.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2000კვ. მ, შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 0790-90-32-96, 253-15-87, 568 -65-74-86.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 598-24-40-90; 557-41-60-91 დათო.

● ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.





## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**ცფ,ფყრჯჰტრღბპბნტ,ბ5**

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

# დინამოს ჩაეძინა



## მეტალურგი – ტორპედო 2:1

რუსთავი. ფოლადის სტადიონი

1:0 რაზმაძე (42პ), 1:1 კვახაძე (85), 2:1 გავაშელიშვილი (89)

**მეტალურგი**: ბედიაშვილი, სეთურიძე, გ.კვარაცხელია, გავაშელიშვილი, ს.თოდუა, რაზმაძე, ქავთარაძე (დობროვოლსკი 71), ი.მაისურაძე (ტატანაშვილი 81), გეწაძე (ჯაფარიძე 76), თექთურმანიძე, სიხარულიძე

**ტორპედო**: მიგინეიშვილი, რიგვავა, კვახაძე, გამეზარდაშვილი, გ.გურული, ფირცხალავა (იოსელიანი 44), გ.დათუნაიშვილი, დოლიძე (საბანაძე 63), თარხნიშვილი (კუხიანიძე 58), ვ.ბოლქვაძე, გოცირიძე

**გაძევება**: რიგვავა (42)

საინტერესო და დრამატული გამოდგა ტურის ცენტრალური მატჩი, რომელშიც რუსთავის „მეტალურგმა" ბოლოს მაინც გატეხა სტუმართა წინააღმდეგობა.

„მეტალურგი" პირველ ტაიმში უკეთ გამოიყურებოდა, თუმცა რეალურ ხიფათს ვერ ქმნიდნენ. გამოსარჩევი ირაკლი მაისურაძისა და გიორგი ქავთარაძის ოდნავ უზუსტო დარტყმებია, ხოლო რევაზ გეწაძეს ომარ მიგინეიშვილმა აუღო.

პირველ ნახევარში „ტორპედოს" შეტევაში არაფერი შეუქმნია. გეგუჩაძის გუნდს ცენტრში ბევრი ბრძოლა უწევდა და შეტევებისთვის ვერ, თუ არ იცლიდა. ამისთვის დაისაჯა კიდეც – 42-ე წუთზე რუსთაველებმა კუთხური ჩააწოდეს, გიორგი გავაშელიშვილმა თავით დაარტყა და დათა რიგვავამ ხელით ითამაშა. პენალტი უდავო იყო და ლუკა რაზმაძემ ზუსტადაც დაარტყა – 1:0.

თუმცა, ამ მომენტს მხოლოდ პენალტი არ მოჰყოლია – რიგვავა გააძევეს და „ტორპედო" 10 კაცით დარჩა. თითქოს მატჩის ბედიც აქვე გადაწყდა, მაგრამ...

სტუმრებმა სწორედ მე-2 ტაიმი ჩაატარეს უკეთ. მართალია, ქუთათურები ორჯერ გადარჩნენ რევაზ გეწაძის დარტყმების შემდეგ, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ტემპს უმატებდნენ.

„მეტალურგს" 81-ე წუთზე ჰქონდა კარგი მომენტი. შეცვლაზე შესულმა ლაშა ჯაფარიძემ საჯარიმოში მიიღო ბურთი და ჩახვეული დარტყმით ძელს მოარტყა. 2:0 რომ გამხდარიყო, ბოლო წუთებში ამდენი ვნებათაღელვა აღარ იქნებოდა.

და აი, 86-ე წუთი. „ტორპედოს" შეტევა სწრაფად განვითარდა, ალექსანდრე კვახაძე დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და ექს-მეტალურგელმა საშუალო მანძილიდან დარტყმით გაათანაბრა – 1:1.

87-ე წუთზე „ტორპედოს" ფორვარდი – ნიკა საბანაძე რუსთაველთა საჯარიმოსკენ დაიძრა და გივი კვარაცხელიამ მის წინააღმდეგ წესები დაარღვია. ჯარიმა დაინიშნა, კვარაცხელიას ყვითელი ბარათიც უჩვენეს, თუმცა, ქუთათურები წითელს ითხოვდნენ – ბოლო იმედის ჯარიმისთვის.

89-ე წუთზე, საჯარიმო დარტყმის შემდეგ არეულობა შეიქმნა, კვარაცხელიამ მაინც მოახერხა დარტყმა და მიგინეიშვილმა სასწაული ნახტომით მოიგერია, დამატებაზე კი გიორგი გავაშელიშვილმა შანსი ხელიდან არ გაუშვა და 2:1.

მთლიანობაში, „მეტალურგმა" მოგება დაიმსახურა.

### მატჩის შემდეგ

**გია გეგუჩაძე, ტორპედოს მთავარი მწვრთნელი:**

– ჩემი აზრით, მარცხს არ ვიმსახურებდით. ტაიმზე მეტხანს კაცნაკლულნი ვთამაშობდით, თუმცა, მე-2 ნახევარში უპირატესობა მოვიპოვეთ და გოლიც გავიტანეთ. გული მწყდება, მაგრამ რას ვიზამთ. ძნელია, როცა სულსა და გულს დებ თამაშში, მაგრამ მაინც აგებ.

***– უცნაურია, მაგრამ პირველ ტაიმში სუსტად გამოიყურებოდით, ხოლო როცა 10 კაცით დარჩით, უკეთ ითამაშეთ.***

– ჩვენ გეგმაში არ გვქონდა თავიდანვე შეტევებზე თამაში, შემდეგ კი, როცა ანგარიშში ჩამოვრჩით, სხვაგვარად უნდა გვეთამაშა.

**კობა ჟორჟიკაშვილი, მეტალურგის მთავარი მწვრთნელი:**

– ვფიქრობ, კარგი თამაში გამოვიდა. მეტოქეზე გაცილებით მეტი საგოლე მომენტი გვქონდა. მართალია, „ტორპედომ" ბოლო წუთებში გაათანაბრა, მაგრამ მაინც მოვახერხეთ გამარჯვების გოლის გატანა.

***– ცხრილში „მეტალურგის" მდგომარეობას როგორ შეაფასებთ?***

– ევროპის ლიგაზე გასასვლელად ვიბრძვით. ვიცით, რომ „ზესტაფონი" ძლიერი გუნდია და მათთან ჭიდილი გაგვიჭირდება, თუმცა, ჩვენ გეგმაზომიერად მივყვებით საქმეს და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

## დინამო – კოლხეთი 1:1

თბილისი. „დინამო არენა"

0:1 გოგონაია (57), 1:1 ჯილაური (84)

**დინამო**: ლორია, ტვილდიანი (იაგუე 61), ხიზანეშვილი, თომაშვილი, კვეკვესკირი, რეხვიაშვილი, ანდრეუ (ჯილაური 57), კოტო (ოდიკაძე 33), ძარია, გოგუა, რობერტინიო

**კოლხეთი**: მიქაბერიძე, ფოფხაძე, ბოიომო, ლომაშვილი, გაბუნია, გოგონაია, ქებაძე, გვალია, პ.დათუნაიშვილი (ცხადაია 86), პავლიაშვილი (გ.კილასონია 82), ტუღუში (ციცხვაია 70)

„დინამომ" მორიგი უფერული მატჩი ჩაატარა და კოლხებს რომ 3 ქულა წაეღოთ, არც ამაში იქნებოდა რაიმე გასაკვირი. თბილისელები პირველად მეტოქის კარს 75-ე წუთზე დაემუქრნენ, მაშინ, როდესაც აგებდნენ.

პირველ ტაიმში მეტ-ნაკლების გამოსარჩევი მომენტიც კი არ შექმნილა, მე-2 ტაიმი კი „დინამოსთვის" არასასურველი სცენარით დაიწყო. 47-ე წუთზე ლაშა გვალიამ მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა და ლორიამ ბურთი კუთხურზე მოიგერია. ცოტა ხანში, ლორია პარტნიორისთვის პასის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ შეცდა და ბურთი ბექა ტუღუშს მოარტყა, თუმცა, სტუმართა ფორვარდმა საბოლოოდ თბილისელთა მეკარის შეცდომით ვერ იხეირა.

57-ე წუთზე, მარცხენა ფრთიდან, დათუნაიშვილის მიერ შესრულებული საჯარიმოს შემდეგ, „დინამოს" კარის წინ, ლორიამ და ოთარ ხიზანეიშვილმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, რითაც ომარ გოგონაიამ ისარგებლა და ანგარიში გახსნა – 1:0.

74-ე წუთზე, ხიზანეიშვილი თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდა, მაგრამ ამით დავით ციცხვაიამ ვერ ისარგებლა და მისი დარტყმული ბურთი მიზანს დიდი მანძილით აცდა. მალევე ჯაბა ჯილაური მარჯვნიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და ასისტენტობა ირაკლი ძარიას გაუწია, რომელმაც ახლო მანძილიდან არდალიონ მიქაბერიძეს ვერ აჯობა. ეს „დინამოს" მიერ შექმნილი პირველი სახიფათო მომენტი იყო.

78-ე წუთზე, ფოთელთა შეტევისას, საჯარიმოს გარეთ გამოსულმა ლორიამ ბურთი ცუდად მოიგერია, მაგრამ გვალიამ საშუალო მანძილიდან ცარიელ კარში ვერ გაიტანა. 84-ე წუთზე, მარჯვნიდან რობერტინიოს პასის შემდეგ, „კოლხეთის" საჯარიმოში მყოფმა ჯილაურმა თავით აუღებლად დაარტყა – 1:1.

87-ე წუთზე რობერტინიომ მარჯვნიდან სტუმართა საჯარიმოში კიდევ ერთი პასი გააკეთა – ფოთელმა მცველმა ბურთი ცუდად მოიგერია, ხოლო ძარიამ ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა.

### მატჩის შემდეგ:

**დავით მახარაძე, კოლხეთის მთავარი მწვრთნელი:**

– ვიცოდით, რომ ზედიზედ ოთხი ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ „დინამოსთან" თამაში განსაკუთრებულად რთული იქნებოდა და ამისთვის მზად ვიყავით. დღევანდელი დაპირისპირება ისე წარიმართა, რომ ეს შედეგი ჩვენთვის მისაღებია. შეგვეძლო მოგება, თუმცა მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე ფრე ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი შედეგია.

**გიორგი დევდარიანი, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– ერთს ვიტყვი, რომ ეს ერთ-ერთი ეტაპი არის პირადად ჩემი განვითარების. როგორც ჩანს, მე რაღაცას ვაკლებ „დინამოს" და თუ გუნდისთვის უკეთესი იქნება, მზად ვარ მთავარი მწვრთნელის პოსტი დღესვე დავტოვო. მე არ ვარ მიჩვეული ასე დარცხვენილ როლში ყოფნას და არ მინდა თავისმართლება. არავისში არ ვეძებ წარუმატებელი ასპარეზობის მიზეზს, ალბათ ჩემი ბრალია. თავად განსაჯეთ, თუ რატომ აჩვენებს დინამო ასეთ თამაშს. აღარ მინდა იმ მემკვიდრეობაზე საუბარი, რომელიც გუნდში დამხვდა. თუმცა იმედი მაქვს, რომ დღე-დღეზე დინამო უკეთესად ათამაშდება.

## ბაია – ზესტაფონი 1:1

ზუგდიდი. ბაიას საწვრთნელი ბაზა

1:0 შონია (15), 1:1 ონიანი (42)

**ბაია**: სომხიშვილი, ტყემალაძე, ქვარცხავა, შონია, კუტალია (ენდელაძე 75), სიხარულია (ქვარცხავა 85), გაბედავა, ეხვაია (კუკავა 56), აფაქიძე, ტყებუჩავა, აკობია

**ზესტაფონი**: რ.კვასხვაძე, ლონლაძე, გ.ონიანი, კობახიძე, ელიავა, შ.გრიგალაშვილი (ბენაშვილი 75), შარიქაძე, სამუშია (ბაბუნაშვილი 46), აფციაური, წინამძღვრიშვილი (დ.მუჯირი 46), დვალი

შეხვედრის საწყისი წუთები თანაბრად კი წარიმართა, თუმცა მასპინძლის სტატუსის შესაფერისად იერიშზე ორიენტირებულმა მასპინძლებმა სახიფათო შეტევის განხორციელებაც მოახერხეს და გოლის გატანაც – ზუგდიდელთა შეტევის მარცხენა ფლანგზე მე-15 წუთზე დანიშნულ საჯარიმო დარტყმას მაღალი ჩაწოდება და ნიკა შონიას ზუსტი დარტყმა მოჰყვა. არადა, მანამდე ანგარიშის გახსნა სტუმრებს შეეძლოთ – გიორგი სომხიშვილთან პირისპირ გასულმა რატი წინამძღვრიშვილმა ბურთის ერთი შეხებით კარში გადაგზავნა ვერ მოახერხა და მომენტიც დაიკარგა. გაშვებული გოლის შემდეგ მარგველებმა შუტიეს, ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე სახიფათო იერიშიც განახორციელეს ზუგდიდელთა კართან, მაგრამ მიზანს მხოლოდ ერთხელ, ტაიმის მიწურულს მიაღწიეს – 42-ე წუთზე ლევან შარიქაძის კარგი სოლო-რეიდი ბურთის საჯარიმოში ჩაწოდებითა და გიორგი ონიანის აუღებელი თავურით დასრულდა.

მეორე ტაიმი ისევ ზესტაფონელთა შეტევების თანხლებით წარიმართა, მასპინძლები კი თავის შანსს კონტრშეტევაზე ელოდნენ. მოკლედ, ისეთი თამაში წარიმართა, რომელშიც გამარჯვების მოპოვება ორივე მხარეს შეეძლო, თუმცა მეკარეებმა არ მისცეს საშუალება გულშემატკივარს, გატანილი გოლები შეხვედრის მეორე ნახევარშიც ეხილათ – ფრე 1-1.

## დილა – მერანი 4:2

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 ვაწაძე (35), 2:0 ბეჭვაია (47), 3:0 ვაწაძე (66), 3:1 ბოხუა (75), 4:1 ვაწაძე (84). 4:2 ტორონჯაძე (90)

**დილა**: სკენდერი, მეგრელიშვილი, სალუქვაძე, ინწკირველი, ალადაშვილი, ბეჭვაია, კაშია (კანდელაკი 81), კახელიშვილი, გურული (ლეკვთაძე 61), ხოჯავა (ახალკაცი 64), ვაწაძე

**მერანი**: შეროზია, გეგეჭკორი, ჟვანია, იობაშვილი, მანწკავა, სუხიაშვილი, დიდავა, გრიგალაშვილი, ფონიავა (ტორონჯაძე 46), მუნინი (ჩალაძე 67), ამბროლაძე (ბოხუა 54)

როგორც იქნა, გორის „დილამ" ისე ითამაშა, გულშემატკივრები მათგან რომ მოელიან. გორელთა შემადგენლობაში გამოსარჩევი მათე გეწაძეა, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა მარტვილელთა კარში. ერთი გოლი კი ამნისტირებული გიგა ბეჭვაიას ანგარიშზეა. სტუმართაგან კი თავი ბოხუამ და ტორონჯაძემ გამოიჩინეს.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 19 | 11 | 6 | 2 | 32:15 | 39 |
| 2.მეტალურგი | 19 | 11 | 2 | 6 | 28:22 | 35 |
| 3.დინამო | 19 | 7 | 7 | 5 | 32:25 | 28 |
| 4.ტორპედო | 18 | 7 | 5 | 6 | 19:16 | 26 |
| 5.დილა | 19 | 5 | 6 | 8 | 21:21 | 21 |
| 6.ბაია | 19 | 5 | 6 | 8 | 16:24 | 21 |
| 7.კოლხეთი | 19 | 4 | 8 | 7 | 12:22 | 20 |
| 8.მერანი | 18 | 4 | 2 | 12 | 17:32 | 14 |

**ბომბარდირები**: ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 14 ბურთი; ჩისკო (დინამო)– 12; დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 10; რევაზ გოცირიძე (ტორპედო) – 8.

## ჩიხურა – ვიტ ჯორჯია 2:0

საჩხერე. ხელოვნურსაფარიანი მოედანი

1:0 კვასხვაძე (27), 2:0 დეკანოიძე (45)

**ჩიხურა**: რ.თევდორაძე, ლ.ჭელიძე, გუშარაშვილი, ნ.კვასხვაძე (ბერიანიძე 90), ძამსაშვილი, კირკიტაძე, მურველაშვილი, სალარიძე, ზაბახიძე, დეკანოიძე (მუმლაძე 81), ფიფია (ლილუაშვილი 86)

**ვიტ ჯორჯია**: დაუშვილი, გურეშიძე, გოგიაშვილი (გ.ვაშაკიძე 46), კასრაძე, დავლაშელიძე, ვასაძე, ზაქრაძე (ლობჟანიძე 62), ღანიაშვილი, კორიფაძე, ჯანელიძე, ჩიმაკაძე

## გაგრა – მერცხალი 0:0

თბილისი. მერანი

**გაგრა**: ბეგაშვილი, ჯგერენაია, ნარმანია, ტყეშელაშვილი, კობერიძე (სარდლიშვილი 45), კვანტალიანი, ჭკუასელი, ჯიშკარიანი, ფალავანდიშვილი (სეთურიძე 77), ყურულაშვილი (ზვიადაძე 71), ჯერემია

**მერცხალი**: გოგუა, ტუღუში, ქობულაძე, ხაჩიძე (ბაჯელიძე 8), ვარდუაშვილი, ტაკიძე, ხურციძე, ტყეშელაშვილი, ლორია, ვაშაკიძე (ვარდუაშვილი 45), ათუაშვილი (კალანდაძე 76)

## დინამო (ბ) – გურია 1:3

ბათუმი. ადელი

0:1 მაისაშვილი (36), 0:2 კვერენჩხილაძე (76), 0:3 კვერენჩხილაძე (80), 1:3 მუჯირი (90)

**დინამო**: მ.ალავიძე, რამიშვილი, ხუხია, კაჭკაჭიშვილი, ქორიძე, თოდაძე, ვ.თევდორაძე (ცანავა 46), ა.მუჯირი, ცნობილაძე, ბაციკაძე (აბუსელიძე 46), დიასამიძე (ზოიძე 72)

**გურია**: ბუბუტეიშვილი, ჩუენსუ, ჯანგიძე, ბაქრაძე, რ.ონიანი, ჩარგეიშვილი, სამსეიშვილი, კუკულაძე (ლაღაძე 87), მაისაშვილი (ზ.ჩხეტიანი 79), მოსიაშვილი (კილაძე 90), კვერენჩხილაძე

## სიონი – სპარტაკი 1:1

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

0:1 მაისურაძე (60), 1:1 ბოლქვაძე (80პ)

**სიონი**: ბობლიაშვილი, კობაური, ქემოკლიძე, სვანიძე, ჩიკვილაძე, ჯოჯუა, ლ.ჩხეტიანი (კაციტაძე 70), ჭანკოტაძე (ხიდაშელი 62), დ.ბოლქვაძე, რეხვიაშვილი (ქუცურუა 57), მეტრეველი

**სპარტაკი**: ნადირაძე, ჭაფოძე, ლომაია, მაჭავარიანი, ორბელაძე, შარაშენიძე, ნ.მაისურაძე (გ.გურეშიძე, 90), ჩაფიძე, გაბაშვილი (სამხარაძე 89), ჩივაძე, მელქაძე

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| 2.ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 4:2 | 10 |
| 3.გურია | 5 | 2 | 2 | 1 | 10:9 | 8 |
| 4.სპარტაკი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| 5.გაგრა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 6 |
| 6.სიონი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 5 |
| 7.დინამო (ბთ) | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| 8.მერცხალი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:6 | 1 |

# შედეგები

### ინგლისი. პრემიერლიგა

ბლექბერნი-მანჩესტერი ................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 31 | 24 | 4 | 3 | 76:27 | 76 |
| 2.სიტი | 31 | 22 | 5 | 4 | 75:25 | 71 |
| 3.არსენალი | 31 | 18 | 4 | 9 | 62:41 | 58 |
| 4.ტოტენჰემი | 31 | 17 | 7 | 7 | 56:36 | 58 |
| 5.ჩელსი | 31 | 15 | 8 | 8 | 53:36 | 53 |
| 6.ნიუკასლი | 31 | 15 | 8 | 8 | 46:42 | 53 |
| 7.ევერტონი | 31 | 12 | 7 | 12 | 32:32 | 43 |
| 8.ლივერპული | 31 | 11 | 9 | 11 | 36:33 | 42 |
| 9.სანდერლენდი | 31 | 11 | 8 | 12 | 42:37 | 41 |
| 10.ფულემი | 31 | 10 | 9 | 12 | 39:42 | 39 |
| 11.სუონსი | 31 | 10 | 9 | 12 | 35:39 | 39 |
| 12.ნორვიჩი | 31 | 10 | 9 | 12 | 42:49 | 39 |
| 13.სტოკი | 31 | 10 | 8 | 13 | 29:43 | 38 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 31 | 10 | 6 | 15 | 36:43 | 36 |
| 15.ასტონ ვილა | 30 | 7 | 12 | 11 | 33:42 | 33 |
| 16.ბოლტონი | 30 | 9 | 2 | 19 | 36:60 | 29 |
| 17.ქპრ | 31 | 7 | 7 | 17 | 35:54 | 28 |
| 18.უიგანი | 31 | 6 | 10 | 15 | 29:55 | 28 |
| 19.ბლექბერნი | 31 | 7 | 7 | 17 | 43:64 | 28 |
| 20.ვულვზი | 31 | 5 | 7 | 19 | 33:68 | 22 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სევილია-მალიორკა ...................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 30 | 25 | 3 | 2 | 100:27 | 78 |
| 2.ბარსელონა | 30 | 22 | 6 | 2 | 86:22 | 72 |
| 3.ვალენსია | 30 | 13 | 9 | 8 | 46:37 | 48 |
| 4.მალაგა | 30 | 14 | 5 | 11 | 44:43 | 47 |
| 5.ლევანტე | 30 | 13 | 6 | 11 | 42:41 | 45 |
| 6.ოსასუნა | 30 | 10 | 13 | 7 | 35:46 | 43 |
| 7.ატლეტიკო | 30 | 11 | 9 | 10 | 42:35 | 42 |
| 8.სევილია | 30 | 11 | 9 | 10 | 36:32 | 42 |
| 9.ესპანიოლი | 30 | 11 | 8 | 11 | 37:39 | 41 |
| 10.ხეტაფე | 30 | 10 | 9 | 11 | 31:39 | 39 |
| 11.ბილბაო | 30 | 9 | 11 | 10 | 44:42 | 38 |
| 12.რაიო | 30 | 11 | 4 | 15 | 42:53 | 37 |
| 13.მალიორკა | 30 | 9 | 9 | 12 | 32:40 | 36 |
| 14.სოსიედადი | 30 | 10 | 6 | 14 | 36:45 | 36 |
| 15.ბეტისი | 30 | 10 | 5 | 15 | 35:43 | 35 |
| 16.გრანადა | 30 | 10 | 4 | 16 | 29:46 | 34 |
| 17.ვილიარეალი | 30 | 7 | 11 | 12 | 30:42 | 32 |
| 18.სარაგოსა | 30 | 7 | 7 | 16 | 27:52 | 28 |
| 19.ხიხონი | 30 | 6 | 7 | 17 | 29:56 | 25 |
| 20.რასინგი | 30 | 4 | 13 | 13 | 23:45 | 25 |

### იტალია. სერია ა

რეჯინა-ბრეშა ................................ 1:1

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფორტუნა-ზანკტ პაული .............. 0:0

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ნანტი-ტრუა .................................. 1:1

### ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი

ეინდჰოვენი-დორდრეხტი ........... 1:0

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ბანიკი-პლზენი .............................. 2:3

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ზაგლებიე-იაგელონია ................. 2:1

### დანია. სუპერლიგა

ორხუსი-სონდერიისკე ................. 1:3

### შვედეთი. ალსვენსკა

მალმიო-გეფლე ............................ 0:0

ნორჩიოპინგი-ჰელსინბორგი ........ 1:0

იორებრო-ატვიდაბერგი ............. 3:4

### ნორვეგია. ტიპელიგა

ალესუნდი-ტრომსო .................... 0:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

ვაშინგტონი-მილუოკი ........... 98:112

ოკლაჰომა-მემფისი .................. 88:94

ჩიკაგო-ჰიუსტონი ................... 93:99

დალასი-კლიპერსი .................. 75:94

პორტლენდი-იუტა ................. 97:102

საკრამენტო-მინესოტა .........116:108

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული სეზონი

ტამპა ბეი-ვაშინგტონი................ 4:2

ლოს ანჯელესი-ედმონტონი ........ 2:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ნოდარ ქუმარიტაშვილს სიმღერა მიუძღვნეს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

სცენა და მიკროფონები მოსინჯეს ბავშვებმა. სწორედ აქ ტარდებოდა კონცერტი, რომელიც ბაკურიანელ დაღუპულ სპორტსმენთა ხსოვნას ეძღვნებოდა. ამ კონცერტისთვის შეირჩა პატრიოტული სიმღერები. კონცერტს მასპინძლობდა ქალბატონი დოდო მიქაბაძე – კინოთეატრ „დიდველის" დირექტორი (თავისი ტექნიკური პერსონალით), ორგანიზატორი გახლდათ ბაკურიანის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი მედეა მეტრეველი, ხოლო დაგეგმილი კონცერტისა და ტურნირის სულისჩამდგმელი – ბაკურიანის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი ლევან შავკანი. კონცერტის ჩატარებამდე დიდველის მთაზე ჩატარდა ბაკურიანის დაღუპულ სპორტსმენთა და ვანკუვერში 2010 წელს ოლიმპიადაზე ტრაგიკულად გარდაცვლილი 21 წლის მოციგავის ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოთხილამურეთა ტურნირი.

***– რატომ დაწერეთ სიმღერა ნოდარ ქუმარიტაშვილზე?***

– ის ნამდვილად იყო თავისი ქვეყნის გმირი. ბაკურიანში ჩვენი მიწვევისას თხოვნა იყო, რომ პროგრამაში შესულიყო ბატონ სოსო ლაგვილავას ლექსზე ჩემ მიერ დაწერილი სიმღერა „ხსოვნა", რომელსაც ასრულებს მარიამ კაპანაძე. ამ სიმღერაზე შეიქმნა კლიპი, რომელშიც გამოყენებულია ნოდარ ქუმარიტაშვილის სპორტული ცხოვრებისეული კადრები. ისინი მისმა დამ – მარიამ ქუმარიტაშვილმა მოგვაწოდა. ასევე კანადიდან, ვანკუვერიდან და მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი არხებიდან მოპოვებული მასალები, ნოდარის საფლავის კურთხევის კადრები, როდესაც მსოფლიოსა და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებმა დიდი პატივი მიაგეს მის ხსოვნას, ბაკურიანში ჩაიტანეს და მის ოჯახს გადასცეს ოლიმპიური დროშა და ოლიმპიური გმირის მედალი, ოლიმპიური სუვენირები და სამძიმრის წერილები. ჩვენი თხოვნით ეს კადრები გადაიღო საპატრიარქოს ტელევიზიამ. სიმღერა „ხსოვნის" ქრონომეტრაჟი 2 წუთი და 40 წამია. ამ თითქოს და პატარა სიმღერის ფონზე კლიპის აწყობა საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის შედეგია, რომლის მონტაჟზეც მუშაობდა უმცროსი ჯანო თითირაშვილი. ამ კლიპის პრეზენტაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის კურთხევით მოეწყო სამების საკათედრო ტაძარში, სადაც გამოფენილი იყო ნოდარის პირადი ნივთები, ჩანაწერები და ოლიმპიადის სამზადისისთვის ამსახველი ფოტოები. მას ესწრებოდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის წარმომადგენლები, ნოდარის ოჯახის წევრები, ნათესავები, მსაჯები და, უბრალოდ, გულშემატკივრები.

***– როგორ მიიღო თქვენი ნამუშევარი საზოგადოებამ?***

– სამებაში კლიპის პრეზენტაციაზე მოსულ საზოგადოებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა როგორც სიმღერამ, ასევე კლიპმა, ისმოდა ჩუმი ქვითინი. ბაკურიანი კი ამ კლიპს არ იცნობდა. ეს კლიპი გადავამრავლეთ და საჩუქრად წავიღეთ ტურნირის მონაწილეებისთვის, მეგობრებისთვის, გულშემატკივრებისთვის, მასპინძლებისთვის. ჩვენი სიმღერისა და კლიპის შექმნის ისტორიით დაინტერესდნენ ჟურნალისტები და მოამზადეს სიუჟეტი.

***– კონცერტში მხოლოდ მიწვეული სტუმრები იღებდით მონაწილეობას?***

– არა, ამ კონცერტში მონაწილეობდნენ ბაკურიანის სკოლის მოსწავლეები, ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამება", ვაკალური სტუდია „ანა-ბანა" და სტუდია „იმედის" სოლისტები – მარიამ კაპანაძე, ნინო მუჯირიშვილი-ნემსაძე და ქეთი ანდრიაშვილი. პატრიოტული პათოსით გაჟღენთილმა კონცერტმა დიდი აღტაცება და ოვაციები გამოიწვია მაყურებელთა დარბაზში. კონცერტზე გაიხსენეს ბაკურიანის ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა მოთხილამურე სპორტსმენები – ფატი ფანჯაკიძე, მიშიკო მიქაბერიძე, მამუკა წეველიძე და ერთადერთი მოციგავე, ვანკუვერში დაღუპული ნოდარ ქუმარიტაშვილი. ბაკურიანმა პირველად ეკრანზე იხილა კლიპი „ხსოვნა", ხოლო საღამო ჩემი სიმღერა „მრავალჟამიერით" დაიხურა, რომელიც მარიამ კაპანაძემ შეასრულა.

***– როგორ შეგხვდნენ ნოდარ ქუმარიტაშვილის მშობლები?***

– კონცერტის მეორე დღეს ბაკურიანის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ეზოში დაკრძალული ნოდარ ქუმარიტაშვილის საფლავთან მივედით სანთლების ასანთებად და პატივის მისაგებად. იქ მისულებს ნიდარის მამა, ბატონი დავითი დაგვხვდა. იგი სასოებით, თითქოს მოფერებით წმენდდა დათოვლილ სურათს და საფლავის ქვებს. მან მადლობა გადაგვიხადა თავისი შვილის ხსოვნის პატივისცემისთვის, სიმღერისთვის, კლიპისთვის, რომელიც მას ჯერ არ ჰქონდა ნანახი. მხოლოდ მეზობლებისგან ჰქონდა გაგებული კონცერტისა და კლიპის პრემიერის შესახებ.



ნოდარ ქუმარიტაშვილი

ბატონმა დავითმა მითხრა, რომ გადაწყვეტილია საციგურაო ტრასის გაკეთება, რათა სპორტის ეს სახეობა საქართველოში არ ჩაკვდეს. საღამოს ნოდარის ოჯახს ვესტუმრეთ და მისი დედა, ქალბატონი დოდო მოვინახულეთ, თან ნოდარის მუზეუმიც დავათვალიერეთ, სადაც ბევრი ფოტო, ჩანაწერები, ნოდარის ხელნაწერები, ნივთები, დროშები, მედლები, სუვენირები და ძალზე საინტერესო სურათებია თავმოყრილი. მაგიდაზე საშუალო ზომის ჩარჩოში ჩასმული იყო ღრუბლების ფონზე ხელგაშლილი იესოს სურათი, რომელსაც გულში ჰყავდა ჩახუტებული ახალგაზრდა ბიჭი. მას იესოს მხარზე დაედო თავი. თავს ზემოთ აფრენილი მტრედი და ლამაზი ცისარტყელა მორკალულიყო.

ქალბატონმა დოდომ თქვა, გაზაფხულამდე ნოდარმა თმა შეიჭრა და ზუსტად ასე ჰქონდაო, ჩახუტებაც ასე იცოდა, მხარზე თავის დადებითო. აღნაგობითაც ძალიან ჰგავს ჩემს შვილსო. ეს სურათი უცნობმა გამოგვიგზავნა ფეისბუქით და ვინც ეს გააკეთა, ალბათ, იცნობდა ჩემს შვილსო. შემდეგ გვაჩვენეს ორმეტრიან ტილოზე ზეთის საღებავით შესრულებული ნახატი „ტყე", რომლის შექმნაშიც თურმე ძალიან ბევრ ადამიანს მიუღია მონაწილეობა. კანადელ თუ შვედ მხატვარს მხოლოდ ხეები დაუხატავს, ხოლო ცხოველების, ფრინველების, ბალახების, ფოთლების დახატვაში სხვა ადამიანებს მიუღიათ მონაწილეობა. ამას სურათის უკან მხარეზე გაკეთებული ავტორების მინაწერები მოწმობს. უკანა მხარეს ოდნავ ბუნდოვნადაა დახატული ნოდარის სურათი, რომლის გარშემოც სხვადასხვა ენაზე მიწერილია თანაგრძნობის ფრაზები. დავფიქრდი, რატომ არის უკანა მხარეს ბუნდოვნად ნოდარის სურათი და წინა მხარეს მკაფიოდ „ტყე"? ალბათ, იმიტომ, რომ სიცოცხლე გრძელდება, განვლილი ცხოვრების კვალი კი ადამიანთა გულებსა და მეხსიერებაში რჩება. ნოდარის სახლში კიდევ ერთი საოცრება ვნახე – ქალბატონმა დოდომ უფლისა და ნოდარის ოდნავ გადიდებული სურათი გვიჩვენა და ისიც დაამატა, რომ ეს სურათი ამაზე მეტად აღარ დიდდება, ის, უბრალოდ, ქრება ხოლმეო. დავაკვირდით სურათს და საოცრება ვიხილეთ – მინის ქვეშ, უფლის სახეზე მირონი მოჟონავდა. დედა მოგვიყვა, რომ ერთხელ, როდესაც ტილოთი წმენდდა სურათს, მინის ქვეშ ეს სისველე შენიშნა და მან მაშინვე შეატყობინა მამაოს. მამაომ ნახა, ლოცვები წაიკითხა და დაამშვიდა, ნუ გეშინია, შვილო, შენი შვილი უფალთანაა და ეს მირონიც ამას მოწმობსო. ნოდარის მშობლები გვიყვებოდნენ მის პატარაობაზე, სპორტულ ცხოვრებაზე, ის ერთადერთი მოციგავე დარჩა ბაკურიანელთა შორის, ყველამ სხვადასხვა მიზეზით თავი დაანებაო. ნოდარს კი სურდა, საქართველო ესახელებინა – ან მოვკვდები, ან გავიმარჯვებო – უთქვამს, რომ სპორტის ეს სახეობა დავიწყებას არ მისცემოდა. სულ სჯეროდა, რომ გამარჯვებული დაბრუნდებოდა. კანადიდან დაურეკავს, მამას გადაეცი, რომ რუს სპორტსმენს ფეხდაფეხ მივდევო. მამას კი გული ცუდს უგრძნობდა, სულ ეტირებოდაო, გაიხსენა ქალბატონმა დოდომ. ნოდარის მშობლებმა გვითხრეს, რომ მათ ხშირად ეხმიანებიან უცხოეთიდან – ამერიკიდან, ისრაელიდან, კანადიდან, ბალტიისპირეთიდან, უკრაინიდან. გაუგიათ, რომ არსებობს ქართული სიმღერა და კლიპი, რომლის ნახვაც მათ სურდათ.

ჩვენ დავპირდით, რომ დისკებს მივაწვდიდით და ინტერნეტშიც დავდებდით ამ კლიპს, მანამდე თავს ვიკავებდით პრეზენტაციის გამო. ბევრი ვისაუბრეთ მათ უმცროს ქალიშვილზე – მარიამზეც. საოცარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით თბილისში, თუმცა, სახლში მოსულებმა აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი ვოკალის მინიაპარატურა 2 პატარა ჩანთით ბავშვებს სასტუმროში დარჩენოდათ, მაგრამ მეორე დილას ჩვენი აპარატურა უკვე ჩვენთან იყო.

# ავსტრალია მსოფლიოში 1,3 მილიონ მუშახელს ეძებს



ავსტრალიის ხელისუფლება მიმდინარე წლის 19-20 მაისს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვაკანსიების პირველ ბაზრობას გამართავს. ღონისძიების მიზანი მაღალკვალიფიციური მუშების, მათ შორის მშენებლების, წყალგაყვანილობის სპეციალისტებისა და ელექტრიკოსების დაინტერესებაა. მანამდე მსგავსი ბაზრობა ავსტრალიამ ინდოეთსა და ევროპაში გამართა.

ავსტრალიის შრომის სამინისტროს ინფორმაციით, უახლოესი 5 წლის განმავლობაში ქვეყანას დამატებით 1,3 მილიონი მუშახელი დასჭირდება, მათ შორის 200 ათასი სამშენებლო სექტორში. ავსტრალიას ასევე ესაჭიროება 320 ათასი სოციალური და სამედიცინო კადრი.

მოთხოვნაა სამთო და გაზის მოპოვების დარგშიც.

ავსტრალიის ხელისუფლება ადგილობრივი სტანდარტების რეორგანიზაციას გეგმავს, რაც კვალიფიციური მუშების მიერ სამუშაო ლიცენზიის აღებისთვისაა საჭირო. ახლა მათ ლიცენზიის მიღებისთვის რამდენიმეთვიანი ლოდინი სჭირდებათ.

ბუნებრივი რესურსებით მდიდარმა ავსტრალიამ კრიზისის პერიოდში რეცესიის თავიდან აცილება შეძლო. ამის მიზეზი ავსტრალიურ ნედლეულზე აზიის მხრიდან მაღალი მოთხოვნა გახდა. ქვეყანაში უმუშევრობა 5,2%-ის დონეზეა.

შედარებისთვის: ამერიკაში ეს მაჩვენებელი 8,3%-ს შეადგენს.

ცნობისთვის, ავსტრალია (ოფიც. ავსტრალიის კავშირი) – სახელმწიფო ავსტრალიის კონტინენტზე. უშუალო სახმელეთო მეზობელი არა ჰყავს, ზღვით კი ესაზღვრება: ინდონეზია, აღმოსავლეთი ტიმორი და პაპუა-ახალი გვინეა ჩრდილოეთით, სოლომონის კუნძულები, ვანუატუ და ახალი კალედონია ჩრდილო-აღმოსავლეთით და ახალი ზელანდია სამხრეთ-აღმოსავლეთით.

40 000 წლის განმავლობაში, მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე, სანამ ევროპელებმა დაიწყეს კონტინენტის ათვისება, ავსტრალიასა და ტასმანიაზე საშუალოდ 250 სხვადასხვა ტომის ავსტრალიელი აბორიგენი სახლობდა. უშუალოდ ჩრდილოეთიდან წამოსული მეთევზეების არარეგულარული სტუმრობისა და 1606 წელს ევროპული აღმოჩენის შემდეგ, ავსტრალიის აღმოსავლეთი ნაწილი 1770 წელს დიდმა ბრიტანეთმა მიისაკუთრა და საწყის ეტაპზე პატიმრებით დაასახლა ახალი სამხრეთი უელსის კოლონიები, 1788 წლის 26 იანვარს აღმოჩენიდან.

მომდევნო წლებში მოსახლეობა ინტენსიურად იზრდებოდა. მეცხრამეტე საუკუნეში კიდევ ხუთი უფრო დიდი თვითმმართველური ბრიტანეთის ზღვის გადაღმა კოლონია დაარსდა.

1901 წლის 1 იანვარს ექვსი კოლონია ფედერაციად გაერთიანდა და ავსტრალიის რესპუბლიკა შეიქმნა.

ამჟამად ავსტრალიას სტაბილური ლიბერალური დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა აქვს. მისი მოსახლეობა 22 მილიონია, რომლის დაახლ. 60% ცხოვრობს შტატების დედაქალაქებში: სიდნეი, მელბურნი, ბრიზბენი, პერთი და ადელაიდა. ქვეყნის დედაქალაქია კანბერა, რომელიც ფედერალურ ტერიტორიაზე მდებარეობს.

ავსტრალია განვითარებული ქვეყანაა, აყვავებული კოსმოპოლიტური საზოგადოებითა და გამორჩეულად მაღალი განვითარების იდექსით, ცხოვრების ხარისხით, სრულფასოვანი ჯანდაცვის სისტემით, ცხოვრების მაღალი ხანგრძლივობით, საყოველთაო საზოგადო განათლებით, ეკონომიკური და პოლიტიკური და სიტყვის თავისუფლებით.

ავსტრალიის ქალაქები მსოფლიოს უდიდესი ქალაქების რიგს მიეკუთვნება კულტურული მრავალფეროვნებითა და ცხოვრების ხარისხით.

ქვეყანა შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, დიდი ოცეული, ერთა თანამეგობრობა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ანზუსი, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური გაერთიანება, წყნარის ოკეანის კუნძულების ფორუმი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# თენგიზ ომანიძე კახა ბენდუქიძეს სიცრუეში ადანაშაულებს





კახა ბენდუქიძის განცხადება, თითქოს ქართული ეკონომიკა რუსეთის ბაზრის დახურვის შემდეგ მხოლოდ უმნიშვნელოდ დაზარალდა, სრული სიცრუე და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა. ამის შესახებ განცხადებას პარტია „თავისუფალი საქართველოს" პოლიტიკური მდივანი თენგიზ ომანიძე აკეთებს.

მისი თქმით, 2005 წელს, ანუ ქართულ ღვინოზე რუსეთის მხრიდან შეზღუდვების დაწესებამდე, ღვინის ექსპორტი 41.6 ათას ტონას შეადგენდა. 2011 წელს კი – ექსპორტმა 16.9 ათასი ტონა შეადგინა. ასევე, 2005 წლამდე საქართველო რუსეთში 153 724 000 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციას ყიდდა, ხოლო ბალტიისპირეთის ქვეყნებში ქართული ექსპორტის საერთო ჯამი 28 962 000 აშშ დოლარს შეადგენს.

ინფორმაციას აღნიშნულის თაობაზე ომანიძე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით ავრცელებს.

მისი თქმით, სტატისტიკა ნათლად ცხადჰყოფს, რომ ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზარს ალტერნატივა არ აქვს.

თენგიზ ომანიძის ინფორმაციით, ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ „ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ქართულ ღვინოზე რუსულმა ემბარგომ საქართველოს ეკონომიკა უმნიშვნელოდ დააზარალა და ქართული პროდუქციის იმპორტი ბალტიისპირეთსა და პოლონეთში გაიზარდა.

ნიუსპრესი



ჰ3ჯცჲჯ3ჲბ

**შვეულად**: 2. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 3. წარწერა საფლავის ქვაზე; 4. ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან; 5. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 6. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 8. ტყვია-თუთიის საბადო სამაჩაბლოში; 11. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 14.; ცხოველთა გარეგნული შესახედაობა, აგებულება; 15. ქართველი მგოსანი; 16. ქართული გაზეთი; 17. თავისავე ქონში ჩახრაკული ცხვრის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 19. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 21. ველორიქშა ინდოეთში; 22. თანამედროვე ბრიტანელი თეატრალური რეჟისორი.

**თარაზულად**: 1. კამათი მეცნიერული ან პოლიტიკური საკითხის განხილვისას; 5. ტყე იტალიის ჩრდილოეთში; 7. წყლით სამკურნალო აბაზანა; 9. საგნის სახეცვლილება; 10. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 12. „სამი მუშკეტერის" პერსონაჟი; 13. შინაური კურდღელი; 16. უნიკალური, ძალზე იშვიათი ნივთი; 17. არომატული, მატონიზირებელი სასმელი; 18. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. დარტყმა კრივში; 22. მუზეუმი მილანში; 23. შრილანკის დედაქალაქი; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 25. ბაღჩეული კულტურა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

**ოზყფ ყჯ3ცჰიზ უფ3ჯმჲტ.ყტ,ეჰბ ჰ3ჯცჲჯ3ჲტ,ბც ზფცეჲტ,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „გეთი"; 2. ლარნი; 3. ერატო; 4. შევრო; 5. კახიძე; 6. დეპოზიტი; 8. გრავიტაცია; 10. „ვინჩესტერი"; 11. კორსანტია; 14. ეფექტი; 15. ვაშაში; 16. კიოტო.

**თარაზულად:** 1. გოგლიძე; 4. შოკოლადი; 7. თქორი; 9. „ვოლვო"; 12. ვეზირი; 13. „ლაციო"; 14. ასკილი; 17. ტალინი; 18. ელექტრონიკა; 19. სარბაზი; 20. კოპიჭი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. „არაბიკა"; 3. პრინციპი; 4. ალიგატორი; 5. კომლი; 6. ესკიმო; 8. ჩაროზი; 11. ბალზამი; 14. იმპერატორი; 15. ვესტერნი; 16. ობლიგაცია; 17. კიუსიუ; 19. აზბესტი; 21. პასკა; 22. ფლორა.

**თარაზულად:** 1. „პალპინსა"; 5. კაფე; 7. ლაჩარი; 9. კაპიტოლიუმი; 10. „კაბერნე"; 12. ამილაზა; 13. დოინისკ; 16. ოსმალეთი; 17. კოკი; 18. ვალსი; 22. ფერმი; 23. „ბერნიკა"; 24. ცირონი; 25. კრივი.

# გუგლი პლანშეტური კომპიუტერების ინტერნეტმაღაზიას გახსნის

კორპორაცია გუგლი საკუთარ ინტერნეტმაღაზიას ხსნის, რომლის საშუალებითაც ანდროიდის ოპერაციული სისტემის მქონე პლანშეტურ კომპიუტერებს გაყიდის.

„უოლ სტრიტ ჯორნალის“ინფორმაციით, კომპანია იმედოვნებს, რომ ინტერნეტმაღაზიის ამოქმედება მათ კონკურენტებთან წარმატებულ ბრძოლაში დაეხმარება. ისეთთან, როგორიცაა ეფლი და ამაზონ.ქომი.




კორპორაცია ინტერნეტმაღაზიის ამოქმედებას უკვე წელს გეგმავს, თუმცა ზუსტ დროს ვერ ასახელებს.

ექსპერტთა ნაწილი ამ გადაწყვეტილებას გუგლის ახალ პლანშეტურ კომპიუტერს უკავშირებს, რომლის გამოშვების შესახებ ხმები უკვე 4 თვეა დადის. ცნობისთვის, გუგლი – ამერიკული კორპორაციის „გუგლ ინსის“, მისი ვებ-გვერდისა და საძიებო სისტემის სახელი. დაარსდა 1996 წელს ლარი პეიჯისა და სერგეი ბრინის მიერ.

დღეს გუგლი არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კომპიუტერული ძებნის სისტემა მთელ მსოფლიოში.

გუგლის თავდაპირველი ვერსია ინგლისურენოვანი იყო. დღეს სისტემა ნათარგმნია თითქმის ყველა ენაზე (მათს შორის ქართულადაც). მისი შექმნა ენდი ბეჩტოლშეიმს 100 000 ამერიკული დოლარი დაუჯდა, შეიქმნა სან მაიკროსისტემსისის მიერ.

# ჰილარი კლინტონი ობამას საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას აღარ მიიღებს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, ჰილარი კლინტონი ბარაქ ობამას წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას აღარ მიიღებს.

ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „ფოქს ნიუსი“ ავრცელებს.



აღსანიშნავია, რომ კლინტონი ობამას საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას გეგმავდა, რის შესახებაც მას თავად ჰქონდა გაცხადებული.

ასევე შეგახსენებთ ჰილარი კლინტონის მიერ თვის დროზე გაკეთებულ განაცხადას, რომ 2012 წელს არჩევნებში ობამას გამარჯვების შემთხვევაშიც კი, მის ადმინისტრაციაში აღარ იმუშავებს.

ამის შესახებ კლინტონმა „სი-ენ-ენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

აშშ-ის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არც 2016 წელს იბრძოლებს მაღალი რანგის თანამდებობისთვის.

– ამჟამად იმას ვაკეთებ, რაც მინდა და განზრახული არ მაქვს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, – განაცხადა კლინტონმა.

63 წლის კლინტონის თქმით, 2012 წლის არჩევნებში ობამას შესაძლო გამარჯვების შემთხვევაშიც არ აპირებს მის ადმინისტრაციაში მუშაობას.

2008 წელს ჰილარი კლინტონი „დემოკრატიული პარტიის“ რიგებიდან პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად პრაიმერში მონაწილეობდა, მაგრამ საარჩევნო ბრძოლას გამოეთიშა და ასპარეზი მასზე რეიტინგულ კანდიდატს, ბარაქ ობამას დაუთმო.

# ირანს ევროკავშირთან ურთიერთობის დალაგება სურს

თეირანს სურს ევროკავშირთან ურთიერთობის დალაგების პროცესი დააჩქაროს. ამის შესახებ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა რამინ მეჰმანპარასტმა განაცხადა.




სააგენტო „ფარს ნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ირანის პოლიტიკა ევროკავშირთან ურთიერთობების გაფართოვებისკენაა მიმართული, მაგრამ მათ ირანელთა უფლებებს პატივი უნდა სცენ.

რაც შეეხება წევრი ქვეყნების მიერ ირანულ ნავთობზე დაწესებულ ემბარგოს, მეჰმანპარასტმა აღნიშნა, რომ ამაზე ევროკავშირში ერთიანი პოზიცია არ არსებობს.

ირანელი დიპლომატის განცხადებით, ევროგაერთიანების ზოგიერთი წევრი მიიჩნევს, რომ ირანთან ნორმალური ურთიერთობები მათ ნაციონალურ ინტერესებშია.

რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის მიერ ირანთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას, მეჰმანპარასტის განცხადებით, ლონდონმა იჩქარა.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ირანისაგან ნავთობის შესყიდვაზე ეტაპობრივი ემბარგო დააწესეს.

ევროკავშირის სახელმწიფოებისთვის ნავთობის შესყიდვაზე სრული აკრძალვა 1 ივლისს შევა ძალაში. ევროკავშირი დაუყოვნებლივ აკრძალავს ირანთან ნავთობის შესყიდვაზე ახალი კონტრაქტის დადებას, ივლისიდან კი იმპორტზე სრული ემბარგო დაწესდება.

ეს იმიტომ კეთდება, რომ ქვეყნებს, რომლებსაც ხელშეკრულებები უკვე გაფორმებული აქვთ, ირანის შემცვლელის მოძებნის საშუალება მიეცეთ.

სანქციების შემოღების მიზეზად იქცა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოხსენება. მასში ნათქვამია, რომ ირანი ატომური იარაღის შექმნაზე მუშაობას თავს არ ანებებს. ამას დაემატა საახალწლოდ ირანის მიერ განხორციელებული წრთვნები და მისი მუქარა, რომელშიც ორმუზის სრუტის გადაკეტვით იმუქრებოდა. ორმუზის სრუტე კი არა მარტო ირანში მოპოვებულმა ნავთობმა უნდა გაიაროს, არამედ მსოფლიოს ნავთობის მოხმარების 40 პროცენტმა.

# მოსკოვის ბაზარში გაჩენილ ხანძარს 17 ადამიანი ემსხვერპლა

მოსკოვში, ვარშავის გზატკეცილზე მდებარე კაჩალოვოს ბაზარში გაჩენილ ხანძარს 17 ადამიანი ემსხვერპლა.

გავრცელებული ინფორმაციით, ყველა გარდაცვლილი ტაჯიკეთის მოქალაქეა. ისინი ბაზარში მდებარე შენობებში ათევდნენ ღამეს.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, ინფორმაციას ამის შესახებ რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტრო ავრცელებს.

ხანძარი გამთენიისას, 05:00 საათისთვის, საცხოვრებელ კვარტალთან ახლოს გაჩნდა. მეხანძრეები მის ლიკვიდაციას ორი საათის განმავლობაში ცდილობდნენ. ცეცხლი 50 კვადრატულ მეტრ ფართობს მოედო.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

# შემნახველი ბანკის მეანაბრეებს უკრაინა და აზერბაიჯანი კომპენსაციას გადაუხდის




უკრაინის სახელმწიფო ბანკი, რომელიც საბჭოთა შემნახველ ბანკს ე.წ. სბერბანკს 1991 წელს გამოეყო, აპირებს წლის ბოლომდე 6 მილიარდი გრივნა (746,6 მილიონი დოლარი) გამოყოს იმ პირებისთვის კომპენსაციის მისაცემად, ვისაც საბჭოთა ე.წ. სბერბანკში ანაბარი ჰქონდა.

ამ მიზნით ბანკმა ე.წ. სბერბანკის იმ მეანაბრეების შესახებ დაიწყო მონაცემების გადამოწმება, ვისაც კომპენსაცია ჯერ არ აუღია.

მეანაბრეთა ნაწილმა კი, დაახლოებით ექვსმა მილიონმა ადამიანმა, 2008 წელს, ექსპრემიერ იულია ტიმოშჩენკოს ინიციატივით, კომპენსაციის სახით ათასი გრივნა მიიღო.

პრემიერის ეს ნაბიჯი მაშინ პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ მკაცრად გააკრიტიკა.

ახლა კომპენსაციის სახით ათას გრივნას ე.წ. სბერბანკის კიდევ 6 მილიონამდე მეანაბრე ელოდება. ამ თანხების გაცემა კი, პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის იმ სოციალური ინიციატივების ნაწილია, რომელიც მან მარტის დასაწყისში გააჟღერა.

ბაზის განახლება იმ მეანაბრეთა ინფორმაციით დაიწყება, რომელთაც 2012 წლის 1 იანვრისთვის 80 და მეტი წელი შეუსრულდათ. 50 წელზე უმცროს მეანაბრეთა მონაცემების გადამოწმება კი ივლისის ბოლოდან მოხდება. კომპენსაციების გაცემა კი, ივნისიდან დაიწყება.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ საბჭოთა „სბერბანკში“ შეტანილ ფულს მეანაბრეებს აზერბაიჯანშიც დაუბრუნებენ.

კერძოდ, აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს ფინანსთა სამინისტროს სადავო საკითხებს, ინდივიდუალური მეანაბრებისათვის ვალის ერთდროულად გაცემის შესახებ.

საქმე ეხება სსრკ-ს დროს აზერბაიჯანში არსებულ შემნახველი ბანკის, ე.წ. სბერბანკის ფილიალს რომელის სამართალმემკვიდრედაც ახლა „კაპიტალ ბანკი“ ითვლება. უკვე გადაწყვეტილია, რომ ე.წ. სბერბანკის მეანაბრეებს ფულს დაუბრუნებენ. ამ შემთხვევაში იგულისხმებიან ინდივიდუალური მოქალაქეები, რომლებსაც თანხა შეტანილი ჰქონდათ ამ ბანკის ანგარიშზე და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგეს.

კომისიაში 14 ადამიანი შედის: იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, ეკონომიკური განვითარების, შრომის და სოციალური დაცვის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის სამინისტორებიდან, კომისიას ფინანსთა სამინისტროს სამოქალაქო ვალის მართვის სააგენტოს დირექტორი, რასიმ ველიევი ხელმძღვანელობს.

ლოჯისტიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის სარეზერვო ფონდიდან ამ პროექტისთვის 2012 წლის ბიუჯეტიდან საწყის ეტაპზე 300 მილიონი მანეთი გამოიყო. კონკრეტდება ვალის გაცემის წესებიც. გაიცემა ის თანხები, რომლებიც 1992 წლის იანვრამდე იყო ბანკში. პროცესი 2012 წლის ივნისიდან, 2013 წლის 31 დეკემბრამდე გასტანს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა 14 მარტს მოაწერა ხელი.

როგორც ცნობილია, ვალის მთლიანი დაფარვისთვის სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მილიარდი მანათის გაცემა მოუწევს.

# ერაყის ხელისუფლება ქურთებს ნავთობის კონტრაბანდაში ადანაშაულებს

ბაღდადი ქურთთა რეგიონს, რომელიც სახელმწიფოს შემადგენლობაში ფართო ავტონომიის სტატუსით სარგებლობს, ფედერალური სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით ნავთობის კონტრაბანდაში ადანაშაულებს.



2011 წლის სექტემბერში ავღანეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ ერაყულ ნავთობს ქურთთა რეგიონიდან პირდაპირ ყიდულობდა.

ერაყის ნავთობის მრეწველობის მინისტრი აბდელქარიმ ლუაიბი ამბობს, რომ ავტონომიური რეგიონი ავღანეთთან და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან ნავთობით ირანის გავლით ვაჭრობს, შედეგად კი სახელმწიფო ხაზინამ 2010 წელს 2 მილიარდი, 2011 წელს კი 3.5 მილიარდი დოლარი დაკარგა.

თავის მხრივ ქურთები აცხადებენ, რომ ცენტრალური ხელისუფლება ნავთობკომპანიებს სამუშაოს არ უნაზღაურებს. ამიტომ მათ ორშაბათს ნედლი ნავთობის მოწოდება შეუწყვიტეს ქვეყნის სამხრეთით.

ბრძოლა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ნავთობის რესურსებისთვის სულ უფრო მეტად იღებს კონფლიქტის სახეს: ქურთთა ავტონომიური რეგიონის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ნავთობის დამოუკიდებლად ექსპორტის უფლება აქვს – ბაღდადი კი, ცენტრალიზებული ექსპორტის მომხრეა.

ცნობისთვის, ერაყი დაყოფილია 18 პროვინციად (არაბულად: მუხაფაზათი, ქურთ. ფარიშა). პროვინციები დაყოფილია ოლქებად (ქადაში).

ერაყის ქურთისტანი არის განსაკუთრებული სტატუსის მქონე რეგიონი, რომელსაც აქვს თავისი მმართველობა და მილიცია.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ცფვუკჯდბფჯჳ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

თანაკლასელები: სვეტა ჯაბუა, ლილი ჯანგველაძე, ზოია დანელია, ლილი ლობჟანიძე, ფოთოლა ფოფხაძე, იზოლდა ჩხარტიშვილი, თინათინ ბჟალავა, ჟოზეფინა თვალთვაძე, თამილა ბოლოკაძე, დათო ღოღობერიძე, გოდერძი ბაკურაძე დიდი მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბექან (სულიკო) ბლუაშვილი**

ჯემალ გაბისონია ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს მარინა ფურცხვანიძესა და ბესიკ იოსელიანს მეუღლისა და მამის

**გიზო (იოსკა) იოსელიანის**

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: შაბათს, 14 საათზე, ვერის სასაფლაოზე.

ვალიკო და სოსო ნაყოფიები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

**შოთა ბესარიონის ძე ჭედიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, დას ნორას, რძალს ლალის, შვილებს იამზეს, მზევის, თამილას, გულოს, ქეთოს, შვილიშვილებს, დისშვილებს, ძმისშვილებსა და ახლობლებს.

**ცფვუკჯდბფჯჳ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბჳბც უფჳლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 4 აპრილი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ცხოვრება მშვენიერია **13.50** ვაშინგტონი დღეს **14.15** დოკ. ფილმი **15.00** სერ. **"დეტექტივი"** **17.00** ეკონომ მენიუ **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მიმინო და მტრედი"** **21.00** სერ. **"დეტექტივი"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **22.40** **ჩემპიონთა ლიგა**. მარსელი-ბაიერნი **00.40** მხ. ფ. **"თვალი თვალის წილ"** (12) (ე. ჰარისი) **02.40** მოამბე **03.00** მხ. ფ. **"სიკვდილი ხელმეორედ"** (15) (ე. გარსია) **05.00** მხ. ფილმი **"გულახდილობა"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ხუთი და"** **20.00** მხ. ფილმი **"იმპერია"** **01.00** მხ. ფილმი **"ჯოკონდა მოიპარეს"**

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ღვინის გზა"** **15.40** ქალური ლოგიკა (გან.) **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **23.00** პოლიციის აკადემია **00.00** რემონტი **01.00** მხ. ფილმი **"ქალები"** (12) (მ. რაიანი) **03.25** მხ. ფილმი **"სისხლიანი შოუ"** (15) **04.50** მხ. ფილმი **"დინების წინააღმდეგ"** (15) (დ. ვაშინგტონი)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** ეთამაშე ვარსკვლავს **16.30** სიცილის ზონა **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. **01.40** შუა დღე **03.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **03.30** პატრული **04.00** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სიამაყე"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **15.15** სერ. **"სიამაყე"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** სცენა **23.40** მხ. ფილმი

**08.00** სერ. **"სამხედრო მივლინება 2"** **08.55** სერ. **"სპეცრაზმი 4"** **09.50** დოკ. ფილმი "ორმაგი ცეცხლი" **10.50** სერ. **"სამხედრო მივლინება 2"** **11.50** სერ. **"სპეცრაზმი 4"** **12.50** მხ. ფილმი **"ეშმაკის ორეული"** **15.00** მხ. ფილმი **"ინფორმატორი"** **17.25** მხ. ფილმი **"მატრიცა: გადატვირთვა"** **20.25** მხ. ფილმი **"აპოლო 18"** **22.15** მხ. ფილმი **"ბინდი. საგა. ახალი მთვარე"** **01.05** მხ. ფილმი **"კ 2"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

ახალი თაობა
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

4 aprili

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1,6678 |
| ევრო | —2,2122 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2,6518 |
| რუსული რუბლი | — 0,0561 |

**ამინდის პროგნოზი 4 აპრილისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1–5, ღამით — -4 -1
**დასავლეთ საქართველო:** წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2–4, ღამით — -3–0
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0–3, ღამით — -5 -2




# ილიკო სუხიშვილის იუბილეს გორში იხეიმებენ

ეკა ირემაშვილი

4 აპრილს ქართველ მოცეკვავესა და საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის დამფუძნებელს ილიკო სუხიშვილს მშობლიურ გორში გაიხსენებენ. ამ დღეს ქორეოგრაფის დაბადებიდან 105 წელი სრულდება.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მოცეკვავის მშობლიურ ქალაქს ილიკო სუხიშვილის ოჯახის წევრები და ახლობლები ესტუმრებიან. სტუმრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სუხიშვილის ქუჩაზე მდებარე ილიკო სუხიშვილის ბიუსტს ყვავილებით შეამკობენ და კიდევ ერთხელ გაიხსენებენ განუმეორებელ ქორეოგრაფს. საიუბილეო ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზში გაგრძელდება, სადაც „სუხიშვილების" კონცერტი გაიმართება. ანსამბლი გორელი მაყურებლის წინაშე „მემორიალური პროგრამით" წარდგება. კონცერტის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ღონისძიებაზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით იქნება შესაძლებელი.


ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი

ილიკო სუხიშვილმა ალექსი ალექსიძის ქართული ხალხური ცეკვების სტუდია დაამთავრა. იგი წლების განმავლობაში იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქართული ცეკვების შემსრულებლად, მუშაობდა ამავე თეატრის ქართული ბალეტის სოლისტად. გასული საუკუნის 30-იან წლებში ილიკო სუხიშვილი უკვე აღიარებული შემოქმედი გახდა.

საქართველოს გარდა, ილიკო სუხიშვილი წარმატებით გამოდიოდა მოსკოვის დიდ თეატრში, მუშაობდა ბალეტმაისტერ კასიან გოლეიზოვსკის ასისტენტად, პარალელურად სწავლობდა ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. ლონდონში გამართულ ხალხური ცეკვების პროფესიონალ შემსრულებელთა მსოფლიო ფესტივალზე ილიკო სუხიშვილმა ფესტივალის ლაურეატის წოდება და მედალი დაიმსახურა.

ილიკო სუხიშვილმა სხვადასხვა დროს დადგა ცეკვები ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერსა" და „დაისში", ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეში", ქართული ცეკვები საბჭოთა არმიის წითელდროშოვან სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, კიევში განახორციელა კავოსის ბალეტი „კავკასიელი ტყვე".

ილიკო სუხიშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა 1945 წელმა, როცა მან, ნინო რამიშვილთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს, რომელმაც მსოფლიოს გააცნო ქართველი ერის უძველესი და უმდიდრესი ისტორია და კულტურა. იუბილარი ხელოვანი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურა საქართველოს ქორეოგრაფიული ცხოვრების აღორძინების საქმეს. მან აღადგინა და დადგა არაერთი ხალხური ცეკვა, შთამომავლობას შეუნარჩუნა ამ ცეკვების განუმეორებელი ხიბლი. ილიკო სუხიშვილს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში უდიდესი ღვაწლისა და ეროვნული კულტურის დაუღალავი პროპაგანდისათვის მრავალი საპატიო წოდება და ჯილდო მიენიჭა. ხელოვანი 78 წლის ასაკში გარდაიცვალა, იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული.

# მაჰათმა განდის ლოცვანი და სათვალეები აუქციონზე გამოიტანეს



აუქციონის სახლმა მალაქსმა გასაყიდად გამოიტანა ნივთები, რომელიც მაჰათმა განდის ცხოვრებას და შემოქმედებას უკავშირდება. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ნივთებს შორისაა მაჰათმა განდის მიერ 1890 წელს ლონდონში სწავლისას შეძენილი სათვალეები მრგვალი მინებით და მაჰათმა გუდჯარატის მშობლიურ ენაზე დაწერილი ლოცვანი.

ასევე იყიდება: წერილები, სადაც განდი მის იდეოლოგიას გადმოსცემს, ჩარკჰა– ტრადიციული ინდური სართავი ჯარა, რომელიც დამოუკიდებლობისთვის არაძალადობრივი ბრძოლის სიმბოლო გახდა. ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლოტი ნიადაგიანი ჭურჭელი გახდა.

1948 წლის 30 იანვარს მაჰათმა განდი მის მიმდევრებთან ერთად ერთობლივი ლოცვის დროს დაცხრილეს ფანატიკოს-ინდუისტებმა. დანაშაულის თვითმხილველებმა მოაგროვეს მიწა და ბალახები დანაშაულის ადგილიდან და შეინახეს, როგორც რელიქვია.

ინდოეთში, ზოგადად უარყოფითი დამოკიდებულებაა განდის მემკვიდრეობის საზღვარგარეთ გაყიდვაზე. ასე, მაგალითად, 2009 წელს როცა ნიუ იორკში სავაჭროდ გამოიტანეს მისი ნივთების კოლექცია, ინდოეთის ხელისუფლებაში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი სიწმინდის სამშობლოში დასაბრუნებლად. შედეგად კოლექცია ინდოელმა მილიონერმა ვიჯაი მალიმ შეიძინა – საწყისი ფასი 20-30 ათასიდან მან 1,8 მილიონი დოლარი გადაიხადა.

აუქციონის ორგანიზატორები იმედოვნებენ, გამოტანილი ნივთებისთვის 80 ათას დოლარამდე მიიღონ. აუქციონი 17 აპრილს გაიმართება.

მოჰანდას კარამჩანდ განდი (ოქტომბერი, 1869, პორბანდარი – გ. 30 იანვარი, 1948, დელი), საყოველთაოდ ცნობილი, როგორც მაჰათმა განდი – ინდოეთის სულიერი და პოლიტიკური ლიდერი, რომლის წინამძღოლობით ინდოეთმა ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობას მიაღწია. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ის უარყოფდა რაიმე სახის ტერორიზმს ან ძალადობას. ძალადობის უარყოფის მისეულმა ფილოსოფიამ, რომელსაც მან სატიაგრაჰა უწოდა, დიდი გავლენა იქონია ეროვნულსა თუ საერთაშორისო არაძალადობრივი წინააღმდეგობის მოძრაობებზე მსოფლიო მასშტაბით დღემდე.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

28 მარტიდან

ექსკლუზივი

„ახალ თაობასთან" ერთად იყიდება უნიკალური პროექტის

„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი"

22-ე ტომი

აინშტაინი

3!)) ობუყიბ4 იცლბც
ბვ ფლფვბფყსფ ,ბჯუჰფაბც,ბ7
ჰჯვცჯსფნ ლბლბ hლფჯბ
ლფნჯლცც ვცჯაჯბჯ
გჯჯბნბhფიბ7 ვცნყბცჰც,ფცფ
ლფ hეჯნეჰფიბ8




უფასოდ ლფ ოზუყზ ტჰსფლ
* კფჰზ

**.ლცჯფვ უფბსლფჯბცობყცს=**

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

fcnhjghjuyjpb
$ ფგჰბჯბცსლბც

**ვერძი** – მშვენიერი დღეა, რაც გინდათ, ის აკეთეთ. **კურო** – მოერიდეთ ზედმეტ აქტიურობას. **ტყუპები** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ლომი** – ყურადღების ცენტრში ხართ და ეს მოგწონთ. **ქალწული** – გზიდან ფულს მიიღებთ. **სასწორი** – ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ნუ წამოეგებით პროვოკაციაზე. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე კარგად არის, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **მშვილდოსანი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** – გადაღლილი ხართ, დასვენება გჭირდებათ. **მერწყული** – აღელვებული ხართ, ამის მიზეზი არ არსებობს. **თევზები** – ეს დღე სადმე მყუდრო სიტუაციაში გაატარეთ.

უბცეჰლც,ს ,ცლყბცჰ ლქცს=

## hჰჯცლჯჰლბ ფ

**შვეულად**: 1. სოფელი ხევსურეთში; 2. მინერალი, ძვირფასი სამშენებლო მოსაპირკეთებელი მასალა; 3. ტემპერატურის შკალის გამომგონებელი შვედი ასტრონომი; 4. უბანი თბილისში; 8. ძველად სურსათ-სანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრებისთვის; 9. გულის პერანგი; 11. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 12. ცხენების შეჯიბრი; 14. დაღესტნის ფეხბურთელთა გუნდი; 16. თავისუფალი, დაუკავებელი თანამდებობა; 17. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 19. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 21. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე.

**თარაზულად**: 5. დაბალი ბუფეტი სასადილო ჭურჭლისთვის; 6. საავტომობილო შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 7. კლდეში ნაკვეთი უძველესი ქალაქი შიდა ქართლში; 10. პარფიუმერული სითხე; 13. კუთხე საქართველოში; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 18. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 20. ზიარებისთვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი წითელი ღვინო; 22. იტალიაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 23. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 24. მჟავაგამძლე სამშენებლო მინერალი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

